წლიური ანგარიში
2004

საინფორმაციო პროგრამა

2004 წელს პროგრამამ წარმართა თავისი მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:
- საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს რეგიონებში და სამეცნიერო და საგნმანათლებლო საინფორმაციო ქსელის მხარდაჭერა
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა და ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის გამყარება
- საქართველოს რეგიონებში ციფრული გახლეჩის აღმოღფხვრა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პოპულარიზაცია
- ღია პროგრამული პლათფორმების პოპულარიზაცია
- საინფორმაციო ტექნოლოგიების პოპულარიზაცია სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო ორანიზაციებში

ამ მიმართულებების შესასრულებლად პროგრამამ კოორდინაცია გაუწია აგვისტოში 17 სახელმწიფო მოხელის სასწავლო ვიზიტს ესტონეთში, როგორც ქვეყანაში, სადაც უმაღლეს დონეზეა ელ. მმართველობა. პროგრამამ დააფინანსა რიგი ორგანიზაციებისა, რომლებიც მუშაობენ ზემოთჩამოთვლილი მიმართულებებით, ასევე თვითონ განახორციელა პროექტები.
ფონდის მიერ, ზაფხულში, დიდი ბრიტანეთიდან შეძენილი მეორადი მოხმარების კომპიუტერები დაურიგდათ 30-მდე სკოლას და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებს.
რიგი პროექტებისა დამატებით ფინანსდებოდა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქსელური პროგრამიდან.

საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ქსელების ასოციაცია - გრენა	გრენას ქსელის მხარდაჭერა, ქსელის გაფართოვება აჭარის რეგიონში, ქსელის გაფართოვება რუსთავში	**$ 107 094**
გრენას ქსელის ოპერაციული მხარდაჭერა, საკომუნიკაციო ხაზის ორგანიზება ბათუმამდე, საკომუნიკაციო ხაზის და დაშვების წერტილის ორგანიზება რუსთავში, რუსთავის ხუთი სკოლის ინტერნეტში ჩართვა და კომპიუტერიზება		
საქართველოს განვითარება ინტერნეტის მეშვეობით	სასწავლო კურსები სახელმწიფო მოხელეებისათვის	**$ 7 985**
სამთავრობო სტრუქტურებში საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობათა პოპულარიზაციის ხელშეწყობა და ახალი მიდგომების დანერგვა სახელმწიფო მოხელეების ცოდნის ამაღლების გზით		
ჩოხატაურის რაიონის საკრებულოთა ასოციაცია	ახალი ტექნოლოგიები საჯარო გამჭვირვალობისათვის	**$ 2 175**
ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებთან ურთიერთობით, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით საჯარო ინფორმაციის გავრცელება		
ბაღდათის საკრებულოთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უკაბელო ტექნოლოგიების გამოყენებით	**$ 1 643**
ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებთან ურთიერთობით, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით საჯარო ინფორმაციის გავრცელება		
კავშირი გეა (განათლება, ეკოლოგია, ადამიანი)	ახმეტის რაიონის საჯარო ინფორმაციის ერთიანი ბანკის შექმნა მოწინავე ტექნოლოგიერბის გამოყენებით	**$ 2 315**
ახმეტის რაიონში საჯარო ინფორმაციის ერთიანი ბანკის შექმნა, მასზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალური უზრუნველყოფა და მოქალაქეთა ცოდნის ამაღლება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა-მიწოდებაზე		

კავშირი "ღია კონსულტანტები"	მობილური კონსულტანტები და ღია პლათფორმები	**$ 68 448**
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების და ღია პლატფორმების პროგრამული უზრუნველყოფის პოპულარიზაცია საქართველოს სამთავრობო, არასამთავრობო და საგანმანათლებლო სექტორში		
ვალერი ტყეშელაშვილი, ანა ნაკაშიძე, რამაზ ქვათაძე	iLaw Eurasia 2004 სემინარში მონაწილეობა, დეკემბერი, ტალინი, ესტონეთი	**$ 4 605**
საინფორმაციო პოლიტიკის სემინარზე მგზავრობა და მონაწილეობა		
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" - შიდა პროექტი	ცოდნაზე დამყარებული არჩევანი - არჩევნების მხარამჭერი ვებსაიტის გაგრძელება	**$ 3 640**
არჩევნების მხარდამჭერი ვებსაიტის მეშვეობით საზოგადოების აზრის შექმნა პოლიტიკურ პარტიებზე		
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" - შიდა პროექტი	უკაბელო ინტერნეტის ტექნოლოგიები სოციალური ცვლილებებისათვის	**$ 9 640**
უკაბელო ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს რეგიონებში კომპიუტერული ქსელების შექმნა, რეგიონებში ციფრული გახლეჩვის შესამცირებლად და სოციალური ცვლილებებისათვის		
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესიული კვლევის და განვითარების ჩამოყალიბება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში	**$ 6 299**
პროფესიული კვლევის და განვითარების ცენტრისა და ბიბლიოთეკის აღჭურვა კომპიუტერებით, ინტერნეტის ქსელში ჩართვა პროფესორ-მასწავლებლების, მაგისტრებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების ხელშესაწყობად. ურთიერთკავშირების დამყარება უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან.		
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" - შიდა პროექტი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის ვებ-გვერდის მომზადება	**$ 1 020**
სახელმწიფო შესყიდვების ვებსაიტის და მონაცემთა მართვის სისტემის შემუშავება და დიზაინი სახელწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის გაზრდისათვის		
ალექსანდრე მაიერი, თეა ხარიტონაშვილი	უსაფრთხო კომუნიკაციების სემინარზე გამგზავრება, ალმა-ატა, დეკემბერი	**$ 2 449**
ლევან რამიშვილი	ცოდნის ეკონომიკის ფორუმზე გამგზავრება-მონაწილეობა, ბუდაპეშტი, 23-26 მარტი	**$ 2 030**
მერაბ ლაბაძე	ონლაინ კონსულტაციების სემინარზე გამგზავრება და მონაწილეობა, ვილნიუსი, 18-19 მაისი	**$ 1 002**
გალის რაიონის ქალთა ასოციაცია "ჰუმანური და სამართლიანი საზოგადოებისათვის"	გალის რაიონის მოსწავლე ახალგარზრდობის შემოქმედებითი აღზრდა	**$ 6 935**
გალის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი აღზრდისკენ მიმართული საქმიანობების განხორციელება		
სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი "თბილისის პროექტთა ბიურო"	კონფერენცია თემაზე "მოზარდთა განათლება და გრძელვადიანი სწავლება სამხრეთ კავკასიაში: სტატუს კვო და რეგიონის შემდგომი განვითარების პერსპექტივები"	**$ 2 000**
ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო,	მეორადი კომპიუტერების შეძენა და დარიგება	**$ 18 000**

შიდა პროექტი		
მეორადი კომპიუტერების შეძენა და არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებისათვის დარიგება		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 247 280

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 229 645

სამართლის პროგრამა

ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" სამართლის პროგრამის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობის გზით ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებისა და გარანტიების შექმნა, ანტიკორუფციული მიმართულების გაძლიერება და კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრება. 2004 წელს სამართლის პროგრამამ არაერთ საინტერესო ინიციატივას დაუჭირა მხარი, რომელიც მიზნად ადამიანის უფლებათა დაცვას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა.
სამართლის პროგრამა ქართული არასამთავრობო სექტორის არა მხოლოდ ფინანსური მხარდამჭერს, არამედ აქტიურ პარტნიორს წარმოადგენდა. 2004 წლის განმავლობაში 15-ზე მეტი პროექტი იქნა დაფინანსებული, ამავდროულად პროგრამის ფარგლებში რამდენიმე შიდა პროექტიც განხორციელდა.

პროექტების ნაწილი დაფინანსებულია 2003 წლის ბიუჯეტიდან გადმოტანილი თანხებიდან და თავისუფალი სარეზერვო ფონდიდან.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი-პლურალიზმის ცენტრი	წამებისგან თავისუფლება - ევროპული სასამართლო პრაქტიკა, შედგენა და გამოცემა	**$ 11 252**
პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მოქალაქეთა სამართლებრივი განათლების დონის ამაღლებას. ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია წიგნის "წამებისგან თავისუფლება - ევროპული სასამართლოს პრაქტიკა" შექმნა და გამოცემა, რომელშიც მოცემული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები და პრეცედენტული საქმეები.		
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ახალი საგადასახადო კოდექსის სრულყოფა და საგადასახადო რეფორმის ხელშეწყობა	**$ 12 990**
პროექტი მიზნად ისახავს ახალი საგადასახადო კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობას, კოდექსის პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და რეკომენდაციების შემუშავებას.		
კავშირი "მეცნიერება და ენერგეტიკა"	შენობა-ნაგებობების მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის სისტემის შექმნა	**$ 11 430**
პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შენობა-ნაგებობების მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის მიზნით საკანონდმებლო ცვლილებებისა და ახალი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება.		
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში	**$ 29 994**
პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნის გზით საკანონდმებლო პროცესის გამჭირვალობის ხელშეწყობა და საზოგადოების ჩართვა საკანონმდებლო პროცესში პარლამენტთან კონსტრუქციული თანამშრომლობის, ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით და საზოგადოების ინტერესების ლობირება.		
ერეკლე მჭედლიშვილი	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო	**$ 22 011**
პროექტი მიზნად ისახავს თავდაცვის სფეროში სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების დამკვიდრებას, სამოქალაქო სექტორის ჩართვას თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებში, თავდაცვის სამინისტროს ანგარიშვალდებულობისა და გამჭირვალობის გაზრდას საზოგადოების		

წინაშე.		
ზურაბ ჯიბღაშვილი	პოსტსოციალისტური ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები	**$ 9 745**
პროექტის ფარგლებში გამოიცემა სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემული იქნება პოსტ-სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციების ანალიზი.		
კავშირი "სამოქალაქო საზოგადოება - ევროპული არჩევანი"	სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა უფლებებისათვის	**$ 14 900**
პროექტის ფარგლებში მოსახლეობას გაეწევა უფასო იურიდიული დახმარება, სასამართლოში მათი ინტერესების დაცვა.		
საკონსტიტუციო პრობლემათა სტრატეგიული კვლევის ცენტრი	კონსტიტუციური სამართალი	**$ 8 253**
პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს უკეთ და ღრმად შეისწავლონ კონსტიტუციური სამართალი.		
ინტერლოუ	ხუთენოვანი ლექსიკონი - გლოსარიუმი საერთაშორისო სამართალში	**$ 10 887**
პროექტის ფარგლებში საერთაშორისო სამართალზე მომზადდა ხუთენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები) ლექსიკონი, რომელიც 1000 სიტყვას მოიცავს.		
ნონა ყანჩაველი	კონსტიტუციური განათლება ლიახვის ხეობის ბავშვებისათვის	**$ 2 137**
არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად სათანადო გაკვეთილების ჩატარება; დისკუსიების მოწყობა.		
ფონდი "სამართლიანი არჩევნები"	არჩევნების მონიტორინგი; აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები	**$ 6 500**
პროექტის ფარგლებში განხორციელდა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების მონიტორინგი, დაკვირვება ხორციელდებოდა მთელი აჭარის ტერიტორიაზე.		
ფონდი "სამართლიანი არჩევნები"	ფონდის "სამართლიანი არჩევნები" მედია კამპანია	**$ 10 000**
პროექტის ფარგლებში დაფინანსებული მედია კამპანია მიზნად ისახავდა ამომრჩეველთა სამართლებრივი განათლების გაღრმავებას, მათი არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოწოდებას.		
სოციოლოგიური კვლევის ცენტრი	გამოკითხვა თავისუფალი და სამართლიანი არჩვენებისათვის	**$ 39 795**
პროექტი მიზნად ისახავდა ეგზიტპოლების ჩატარებასა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას არჩევნების გამჭირვალობის მისაღწევად.		
ევროპის სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი	რეგიონალური საერთაშორისო სისხლის სამარათლის სასამართლოს თემატიკის გარშემო	**$ 18 930**
პროექტის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხებზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით.		
საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	იუსტიციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა	**$ 9 600**
პროექტის ფარგლებში შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებული ინფორმაცია ხელს შეწყობს სამინისტროში გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების განმტკიცებას. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდა ქართული კანონმდებლობის ბაზა.		
საქართველოს მოსამართლეები	სასამართლოს როლი საარჩევნო დავების განხილვაში და სასამართლოს დამოუკიდებლობა	**$ 20 883**

პროექტის ფარგლებში ხდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ეწყობა მოსამართლეთა შეხვედრები სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მიზნით.		
აკაკი მინაშვილი	საქართველოს კონსტიტუციური ცვლილებებისადმი მიძღვნილ სემინარში მონაწილეობა	**$ 672**
საქართველოს კონსტიტუციური ცვლილებებისადმი მიძღვნილ სემინარში მონაწილეობა.		
სამოქალაქო ინიციატივა და მომავლის ადამიანი	კლინიკური იურიდიული განათლება	**$ 13 680**
სტუდენტებისთვის იურიდიული კლინიკის შექმნა, სადაც მოქალაქეებს გაუწევენ უფასო იურიდიულ დახმარებას.		
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" შიდა პროექტი	პოლიციის სასწავლო მოდულების ადაპტირება	**$ 14 000**
პოლიციის აკადემიისთვის სასწავლო მოდულების ადაპტირება; ქართულენოვანი სახელმძღვანელოების დამზადება და მასწავლებელთა ტრენინგის ჩატარება.		
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" შიდა პროექტი	კანონიერების კულტურა	**$ 12 000**
ანტიკორუფციულ თემებზე საგაზეთო ჩანართების მომზადება და გამოქვეყნება; მოსწავლეთა შეხვედრების ორგანიზება პოლიტიკოსებთან, მოსამართლეებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 279 659

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 190 459

საჯარო ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა

ადგილობრივი თვითმმართველობის და საჯარო ადმინისტრაციის პროგრამის ძირითადი მიზნებია:
- ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობა;
- საზოგადოების აქტიური ჩაბმა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ;
- დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;
- საჯარო სამსახურის რეფორმის ხელშეწყობა;
- ცენტრალურ დონეზე პოლიტიკის შემუშავებისას საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ;
- ადგილობრივ დონეზე მონაწილეობითი ბიუჯეტირების წახალისება.

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი	ადგილობრივ თვითმმართველობათა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა	**$ 11 996**
თვითმმართველობის სფეროში ტიპიური საბაზისო ტრენინგ-პაკეტების და ადგილობრივ ტრენერთა ქსელის შექმნა. გათვალისწინებულია საქართველოს 7 რეგიონში ადგილობრივ ტრენერთა მიერ განხორციელებულ ტრეინინგ პროგრამაში 300-მდე მონაწილის ჩართვა.		
საინიციატივო ჯგუფი	საქართველოს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლების კონცეფციის შემუშავება	**$ 10 426**
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კონცეფციის და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა; მათი საჯარო განხილვა და პარლამენტისათვის წარდგენა.		
ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი	როგორ ვითანამშრომლოთ	**$ 10 456**

ოზურგეთის რაიონში ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად წარმომადგენლობითი საზოგადოებრივი ჯგუფის შექმნა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება; რაიონის საჭირბოროტო საკითხებზე ადგილობრივი ტელევიზიით 10 სატელევიზიო თოქ შოუს მომზადება.		
გორის საინფორმაციო ცენტრი	"დებატები"	**$ 11 898**
გორის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობის ანალიზი და ფოკუს ჯგუფებთან ანალიზის შედეგების განხილვა ადგილობრივი ტელევიზიით; დებატების მოწყობა არსებული დარღვევების განსახილველად.		
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი	სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგი	**$ 9 830**
2005 წლის ბიუჯეტის მონიტორინგი საზოგადოების ინფორმირების მიზნით; მას მედიის საშუალებებში ყოველკვირეული ანალიზის და სტატიების მომზადება სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების, ხარჯების და მთლიანად ბიუჯეტის მიმდინარეობის შესახებ.		
საქართველოს სოციალური განახლების ფონდი	სოციალური პროგრამების მონიტორინგის ცენტრი	**$ 8 000**
ქ. თბილისის ფარგლებში სოციალური პროგრამების ბენეფიციარების ერთიანი საინფორმაციო ბაზის და ინტერნეტ ვერსიების შექმნა.		
თავისუფლების ინსტიტუტი და განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM)	განათლების რეფორმის ეფექტურობის გაზრდა საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში თვითმმართველობის მექანიზმების დამკვიდრების გზით.	**$ 50 000**
განათლების რეფორმის ხელშესაწყობად საქართველოს 1000 სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრთა ტრენინგი და დირექტორთა გადამზადება. სკოლის ეფექტურად მართვისა და ბიუჯეტის შედგენის სახელმძღვანელოს შექმნა, პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტ გვერდის შექმნა.		
სამოქალაქო ინტერესების დაცვის ახალგაზრდული კავშირი	სახელმწიფო შეღავათებისა და დახმარებების კრებულის შექმნა	**$ 560**
სახელმწიფო შეღავათებისა და დახმარებების კოდიფიცირება და კრებულის სახით გამოცემა; ბროშურის გავრცელება სოციალურ პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.		
"ჰუმანური განვითარების" კავშირი	თავისუფალი გადასახადის დანერგვა (გადასახადების ნაწილის პირადი გადახდა კონკრეტული პროექტის სასარგებლოდ)	**$ 9 485**
"თავისუფალი გადასახადების" კონცეფციის შემუშავება; შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადება და კანონპროექტის ლობირება პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე განსახილველად.		
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" შიდა პროექტი	თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების გამჭვირვალობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა	**$ 15 855**
თბილისის ადგილობრივ ხელისუფლებაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული "სხდომათა საჯაროობის" პრინციპის ამოქმედება, რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო მასალების მომზადება სამართალშემოქმედების პროცესისა და გამჭვირვალობის შესახებ; ტრენინგის ჩატარება თემებზე "გამჭვირვალობა და ინფორმაციის თავისუფლება", "კანონშემოქმედებითი პროცესი და ტექნიკა".		
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" შიდა პროექტი	საქართველოს საარჩევნო კოდექსის შემუშავებაში არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობის ხელშეწყობა	**$ 8 700**

არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფის შექმნა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების მომზადების მიზნით; მომზადებული კანონპროექტის ლობირება პარლამენტში .		
დავით ებრალიძე	მიწა მობინადრეს 2	**$ 11 747**
მრავალბინიანი სახლების მობინადრეებისათვის კორპუსის მიწის რეგისტრაციის საქმეში ხელშეწყობა; მიწის რეგისტრაციის, გადასახადისა და კონდომინიუმების ჩამოყალიბების წახალისების პოლიტიკის დამკვიდრება თბილისში და ბათუმში.		
საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	საპასპორტო სისტემის ადმინისტრაციული რეფორმა კორუფციის წინააღმდეგ	**$ 24995**
იუსტიციის სამინისტროს 10 ტერიტორიული ორგანოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, იუსტიციის სამინისტროსთან და ცენტრალურ სამისამართო ბიუროსთან სწრაფი და დაცული კომუნიკაციის უზრუნველყოფა. თბილისში პირადობის მოწმობების და პასპორტების გაცემისას კანონით დადგენილი ვადების დაცვა და კორუფციის შემთხვევების შემცირება.		
არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "ადგილობრივი დემოკრატიისა და თვითმმართველობისათვის". ფონდი "ღია საზოგადობა - საქართველო"და ევრაზიის ფონდის თანადაფინანსებით.	საქართველოში დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავება	**$ 26 783**
რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელის შექმნა; მუნიციპალური და რეგიონალური თვითმართველობების კონცეფციების შემუშავება; მუნიციპალურ, რეგიონალურ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობების კონცეფციის შემუშავება; ერთიანი სტრატეგიული გეგმის შექმნა.		
ჩოხატაურის რაიონის საკრებულოთა ასოციაცია	ახალი ტექნოლოგიები საჯარო გამჭვირვალობისათვის	**$ 3 433**
ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებთან ურთიერთობით, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით საჯარო ინფორმაციის გავრცელება.		
ბაღდათის საკრებულოთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უკაბელო ტექნოლოგიების გამოყენებით	**$ 2 593**
ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებთან ურთიერთობით, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით საჯარო ინფორმაციის გავრცელება.		
კავშირი "გეა"	ახმეტის რაიონის საჯარო ინფორმაციის ერთიანი ბანკის შექმნა მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით	**$ 3 654**
ახმეტის რაიონში საჯარო ინფორმაციის ერთიანი ბანკის შექმნა, მასზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალური უზრუნველყოფა და მოქალაქეთა ცოდნის ამაღლება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა-მიწოდებაზე.		
მსოფლიო ბანკი/ფღსს	იდეათა კიდობანი	**$ 15 000**
იდეათა კიდობანის ფარგლებში დაფინანსდა ორი პროექტი: 1) სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა კავკასიაში. (მყინვარწვერის მისადგომთან მდებარე სოფელ გერგეთში "მყინვარწვერის ტურისტული სახლის " ეფექტურად ამოქმედება და სათემო განვითარება; ახალგაზრდებისათვის საზაფხულო სამთო-ბანაკის ორგანიზება). 2) მომავალი თაობა - მე და ჩემი ქალაქი. (მოზარდების დაინტერესება საკუთარი ეზოების, სკვერებისა და უბნების დასუფთავებითა და კეთილმოწყობით)		
საინიციატივო ჯგუფი	კანონი ხალხისათვის	**$ 8 368**

ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ რადიო პროგრამის "კანონი ხალხისათვის" მომზადება და რადიოს ეთერში განთავსება.	

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 218 900

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 227 900

მას მედიის მხარდაჭერის პროგრამა

2004 წელს ფონდის პროგრამა მას მედიის მხარდასაჭერად აქტიურად იყო ჩაბმული სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის დახმარების პროცესში.
მას მედიის მხარდაჭერის პროგრამა შენარჩუნდა და მოქმედებდა 2004 წელსაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ფეხაწყობით.
ფონდის მიზანი იყო, ფოკუსირება მოეხდინა რეფორმის პროცესზე, რაც შესაძლებელს გახდიდა ხანგრძლივმოქმედი ხელშემწყობი გარემოს შექმნას, ეს კი დამოუკიდებელ მედიას პოლიტიკურად და ეკონომიკურად განავითარებდა.
პროგრამის პრიორიტეტულ სფეროებად განსაზღვრული იყო შემდეგი მიმართულებები:
რეგიონალური დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა
ჟურნალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
ჟურნალისტების ანტიკორუფციული - საგამომძიებლო აქტივობების მხარდაჭერა
ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია.
ამ პრიორიტეტული მიმართულებების გარდა, ფონდი შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა საზოგადოებრივი ტელევიზიისა და მედია-საბჭოს ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში.

ტელეკომპანია მე-9 ტალღა	პროექტი მაუწყებლობის გაძლიერებაზე	**$ 6 500**
ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გადაცემების რეტრანსლირება აჭარის მიმართულებით. პროექტი დაფინანსებული იყო ერთობლივად ევრაზიის ფონდსა და IREX - თან ერთად.		
ტელეკომპანია "ტელეარხი 25"	საინფორმაციო პროგრამების განახლება	**$ 13 015**
ტელეარხ 25 -ის (აჭარა, ბათუმი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (პროექტი დააფინანსა ევრაზიის ფონდმა და IREX -მა		
საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა	ოსურენოვანი რადიოპროგრამა "ხიდი"	**$ 3 900**
პროექტის მიზანია, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ მიიღოს დღევანდელი ვითარების ამსახველი ობიექტური ინფორმაცია. პროექტი მოიცავს ოსურენოვან ყოველდღიურ ორსაათიან გადაცემას, რომელშიც წარმოდგენილია 15-წუთიანი საინფორმაციო გამოშვება, პრესის ანალიზი, ლიტერატურული კითხვა, ოსური ხალხური, საესტრადო და კლასიკური მუსიკის კონცერტები		
ასოციაცია "სკოლა, ოჯახი, საზოგადოება"	ამანათი სკოლას	**$ 8 165**
საქართველოს რეგიონების სკოლების ბიბლიოთეკებისათვის სხვადასხვა საბავშვო გამოცემის გადაცემა		
არასამთავრობო სათემო საზოგადოება "სიღნაღელები"	ლაპარაკობს რადიოსადგური "სიღნაღი"	**$ 4549**
რადიოსადგურ "სიღნაღის" ტექნიკური აღჭურვილობის განახლება და გადაცემების ხარისხის გაზრდა		
ტელე - რადიო კომპანია "თრიალეთი"	პირველი ადგილობრივი რადიო მაუწყებლობა შიდა ქართლში	**$ 6 369**
FM რადიოს დაარსება ქალაქ გორში		
"ახალგაზრდობის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ახალგაზრდობის პრობლემატიკის კვლევის ასოციაცია"	"პირველად იყო სიტყვა"	**$ 3 983**

გაზეთ "ლაგოდეხის" გამოცემა		
ვლადიმერ მენაბდე	"ინფორმირებული საზოგადოება"	**$ 3 010**
ოზურგეთის რაიონის ხელისუფლების საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება		
ჩიკვაიძე მაია	ვაშენოთ ერთად სახელმწიფო	**$ 3 000**
ქართველი მკითხველისათვის საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი თანამოქალაქეების პრობლემატიკის და სახელმწიფოს მიმართ მათი განწყობის გაცნობა		
ჟურნალისტთა ჯგუფი	ოთხი რაკურსი ანუ ოთხი ჟურნალისტის თვალით დანახული ერთი პრობლემა	**$ 3 000**
გამარჯვებული კონკურსში პრესის ჟურნალისტებისათვის - ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში პუბლიცისტური და/ან რეპორტაჟული სტატიების სერიის მოსამზადებლად		
ფონდი "ინტერნიუსი"	ტრენინგი ტელე-ჟურნალისტებისა და ოპერატორებისათვის	**$ 7 220**
სპეციალური ტრენინგების ჩატარება ჟურნალისტებისა და ოპერატორებისათვის (პროექტი დააფინანსა IREX -მა და საფრანგეთის საელჩომ		
მანანა ლომაძე	"აქტუალური მინიატურები" (მოზაიკური კულტურა - გზა ღია საზოგადოებისაკენ)	**$ 7 921**
რამოდენიმე საინტერესო გადაცემის მომზადება წალკის რაიონის შესახებ.		
სოფიო ქვლივიძე	სამგზავრო გრანტი - არჩევნების მონიტორინგი (უკრაინა)	**$ 347**
თამილა მჭედლიშვილი	სამგზავრო გრანტი - არჩევნების მონიტორინგი (უკრაინა)	**$ 347**
პაატა ცნობილაძე	სამხედრო აღმშენებლობის პრობლემები და რეგიონული მედია	**$ 2 500**
პრობლემების, დარღვევების გასაჯაროება ისეთ სფეროებში, როგორიც არის სამხედრო აღმშენებლობა და საზღვრის დაცვა		
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი	ქართულ-რუსული საიტი პანკისი.ინფო	**$ 14 003**
პროექტი პირველად 2003 წელს დაფინანსდა მედიის ქსელურ პროგრამასთან თანამშრომლობაში. შეიქმნა ქართულ - რუსული საინფორმაციო ინტერნეტ გვერდი www.pankisi.info. 2004 წელს პროექტის ფინანსირება გრძელდება. გვერდის პოპულარიზაციისთვის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქართული მხრიდან.		
გულიზა (ნატო) გუბელაძე	ჟურნალისტური გამოძიება - რევოლუციამდელი და პოსტრევოლუციური დავით მუმლაძე	**$ 1 000**
პირველი პრიზი პროგრამის კონკურსში - რეგიონულ ბეჭდვით მედიაში საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სფეროში 2004 წელს შესრულებული საუკეთესო ნაშრომების გამოსავლენად.		
ლამარა შაყულაშვილი	"რეზერვისტი დეზერტირი"	**$ 700**
მეორე პრიზი პროგრამის კონკურსში - რეგიონულ ბეჭდვით მედიაში საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სფეროში 2004 წელს შესრულებული საუკეთესო ნაშრომების გამოსავლენად.		
მაია მამულაშვილი, მამუკა ხარიტონაშვილი	ჟურნალისტური გამოძიება	**$ 500**
პრიზი პროგრამის კონკურსში - რეგიონულ ბეჭდვით მედიაში საგამომძიებლო ჟურნალისტიკის		

სფეროში 2004 წელს შესრულებული საუკეთესო ნაშრომების გამოსავლენად.		
ეთერ სადაღაშვილი	ჟურნალისტური გამოძიება	**$ 1 200**
გადაცემის მომზადება და ტელეეთერში გაშვება 2004 წელს საქართველოს ერთ-ერთი რეგიონული დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მიერ.		
ნინო ლურსმანაშვილი	ეთნიკურ უმცირესობათა წარმ. პოზიტიური როლი საქართველოში	**$ 997**
საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების პოზიტიური როლის წარმოჩენა საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.		
პაატა კერესელიძე, საბა ამირეჯიბი	საქართველოს უახლესი ისტორიის ვირტუალური ქორონიკონი	**$ 7 900**
არსებული ვიდეო-ფონო-ფოტო-კინო დოკუმენტების სისტემატიზაცია, კალენდარული ქრონოლოგიის მიხედვით, მასალის ხარისხის მიხედვით; მისი მიწოდება ფართო მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ფორმით.		
ნინო სტავრიდი	„ლიბერალური კულტურა - ღია საზოგადოების საფუძველი“	**$ 997**
საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების პოზიტიური როლის წარმოჩენა საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.		
მას მედიის მხარდაჭერის პროგრამა	მედია საბჭოს შექმნის ხელშეწყობა	**$ 24 855**
მედია საბჭოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ჟურნალისტების უფლებების დაცვა.		
მას მედიის მხარდაჭერის პროგრამა	თანადაფინანსება ტ. რეპკოვას წიგნის ("ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში") დასაბეჭდად	**$ 5 290**
IREX -ის ფინანსური მხარდაჭერით თარგმნილი ტ.რეპკოვას სახელმძღვანელოს გამოცემა.		
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"	საინფორმაციო ბროშურის გამოცემა ფონდის შესახებ	**$ 1 350**
საინფორმაციო ბროშურის გამოცემა ფონდის მიერ ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.		
ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო	დოკუმენტალური ფილმის გადაღება ფონდის შესახებ	**$ 4 174**
დოკუმენტური ფილმის გადაღება ფონდის შესახებ, ფონდის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით.		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 136792

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 153200

ქალთა პროგრამა

ფონდის ”ღია საზოგადოება - საქართველო” ქალთა პროგრამა, ქალთა მოძრაობის განვითარების საჭიროებათა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, აგრძელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით: ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება, და ქალთა საინიციატივო ჯგუფებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობა გენდერული ძალადობის დასაძლევად მიმართულ საქმიანობაში; ქალთა მოძრაობის გაფართოება და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; გენდერული/ქალთა კვლევების განვითარება; "უფლებამოსილებითი განათლება" სკოლის ასაკის ბავშვებისთვის; ქალთა პრობლემების გაშუქება, მედიასთან თანამშრომლობა საზოგადოებაში გენდერული წონასწორობის მისაღწევად.
ქალთა პროგრამის ერთობის გაფართოვებით, მიზნობრივი ცენტრების, ქსელებისა და ასოციაციების შექმნითა და ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობით ქალთა პროგრამა ახორციელებს თანმიმდევრულ, შედეგზე ორიენტირებული სამუშაოს, რომლის ამოცანაა წამოწყებულ საქმეთა მდგრადი განვითარების მიღწევა.

პროგრამა, ადგილობრივ საჭიროებათა შესაბამისად, გამუდმებით მონაწილეობს ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამის ინიციატივებში.

სოფელ ორთაშენის ქალთა საინიციატივო ჯგუფი	იმედი	**$ 2 200**
ბუნებრივი გაზის გაყვანა სოფელ ორთაშენში მცხოვრებელი თვრამეტი სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის (შიდა ქართლის რეგიონი)		
სოფელ ნინოწმინდის (საგარეჯოს რ-ნი) ქალთა საინიციატივო ჯგუფი	სასმელი წყლის რეაბილიტაცია	**$ 1 901**
სასმელი წყლის გაყვანილობის აღდგენა სოფელ ნინოწმინდაში (საგარეჯოს რაიონი)		
სოფელ ღორეშას ქალთა საინიციატივო ჯგუფი "სამაია"	სასმელი წყლის გამოყვანის, კანალიზაციისა და აბანოს აღდგენის შესახებ	**$ 2 132**
სასმელი წყლის შემოყვანა (1 კმ. მანძილიდან), კანალიზაციისა და აბანოს აღდგენა სოფელ ღორეშაში (ხარაგაულის რაიონი)		
ქალთა საინიციატივო ჯგუფი "ბეთლემი"	ქალები მომავალი თაობის საკეთილდღეოდ	**$ 2 200**
საბავშვო ბაღის შენობის აღდგენა სოფელ გერგეთში (ყაზბეგის რაიონი)		
სოფელ დედალაურის ტბეთის ქალთა საინიციატივო ჯგუფი	წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	**$ 2 200**
სასხმელი წყლის გაყვანა სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა გადმოსახლებული თემისთვის (სოფელი დედალაური, ხონის რაიონი)		
აღაზა შავერდაშვილი	შარახევი	**$ 2 200**
სასმელი წყლისგაყვანა ფშავში, სოფელ შერახევში (თიანეთის რაიონი)		
სოფელ ერისიმედია ქალთა საინიციატივო ჯგუფი	ერისიმედი უწყლო და წყალწაღებული	**$ 2 195**
სასმელი წყლის გაყვანა სტიქიით დაზარალებული, გადმოსახლებული აჭარლების სოფელ ერისიმედში (საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, სიღნაღის რაიონი)		
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერული პრობლემების კვლევის საინიციატივო ჯგუფი	გენდერული კვლევის ცენტრი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	**$ 3 415**
გენდერული კვლევის ცენტრის უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკით, სამეცნიერო ლიტერატურით გენდერის/ქალთა საკითხების სფეროში, სემინარების ციკლი სტუდენტებისთვის, ცენტრის წევრების/ სტუდენტების მიერ ჩატარებულ კვლევათა შედეგების მომზადება გამოსაცემად.		
გენდერის შესწავლის საინიციატივო ჯგუფი	გენდერის კურსის დანერგვის პროგრამა თსუ მესხეთის ფილიალში	**$ 4 000**
გენდერული კვლევის ცენტრის დაარსება თსუ მესხეთის ფილიალში, ცენტრის უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკით, ბიბლიოთეკის შევსება სამეცნიერო ლიტერატურით, სასწავლო კურსების შემუშავება, საუნივერსიტეტო ცხრილში ჩართვა, ლექციების კითხვა.		
ქალთა ზეპირი ისტორიების მკვლევართა გუნდი	ქალთა მეხსიერების კვლევის ცენტრი	**$ 7 963**
ქალთა მეხსიერების კვლევის ცენტრის შექმნა: ბიბლიოთეკისა და არქივის შევსება და მოწესრიგება; ცენტრის აღჭურვა კომპიუტერული/ სხვა საჭირო ტექნიკით, მასალების მომზადება ვებ-გვერდისთვის, ახალი ზეპირი ისტორიების დოკუმენტირება და არსებული კოლექციების მოწესრიგება, მკვლევართა, სხვა დაინტერესებული პირების მომსახურება.		
თამარ საბედაშვილი	სამგზავრო გრანტი მონაწილეობის მისაღებად ზეპირი ისტორიის XIII საერთაშორისო კონფერენციაში (რომი)	**$ 1 306**

თამარ საბედაშვილმა მონაწილეობა მიიღო ზეპირი ისტორიის XIII საერთაშორისო კონფერენციაში (2004 წლის 23-26 ივნისი, რომი). მისი მოხსენება - "მაია გრესელის ზეპირი ისტორია" ფონდის ქალთა პროგრამის პროექტის "მრავალეთნიკური საქართველო: ბოლო ათწლეული" ფარგლებში შექმნილი კოლექციის ერთ-ერთი ისტორიის კვლევას წარმოადგენს.		
საერთაშორისო ცენტრი - განათლება მშვიდობისათვის	უფლებამოსილებითი განათლება 2004-05	**$ 15 000**
უფლებამოსილებითი განათლება, ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამის მრავალწლიან პროექტთაგანი, უკრაინული ორგანიზაციის - "ქალთა საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი" - მიერ შემუშავდა. უფლებამოსილებითი განათლება, როგორც სასწავლო პროგრამა, ძირითადად სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა გამიზნული. პროგრამა ავითარებს ურთიერთობის, აქტიური სმენის, ურთიერთთანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების, კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტის უნარებს, ხელს უწყობს ადამიანში საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდას. პროექტში ჩართული ცხრამეტ სკოლაში (მათ შორის თხუთმეტი - რეგიონალური სკოლა) წარმატებით ტარდება უფლებამოსილებითი განათლების ტრენინგები. პროექტის თანადამფინანსებელი და განხორციელების ხელშემწყობია ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო.		
ნელი ზაქაიძე, თინათინ ბაბუნაშვილი, მადონა ჯაბუა, ეკატერინე ფირცხალავა	სამგზავრო გრანტები მონაწილეობის მისაღებად საერთაშორისო კონფერენციაში "ქალთა ზეპირი ისტორია: ახალი მეთოდოლოგია ახალი განათლებისთვის".	**$ 2 908**
მცხეთელმა, ქუთაისელმა და ზუგდიდელმა მასწავლებლებმა, რომელნიც პროგრამის "უფლებამოსილებითი განათლება" ტრენინგებს ატარებენ თავიანთ სკოლებში, ამ პროგრამის ერთ-ერთ ლიდერთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მეთოდოლოგიურ სემინარში, რომელიც ჩატარდა ქ. ბიშკეკში (ყირგიზეთი) 27-29 იანვარს. სემინარის მიზანი: ზეპირი ისტორიის მეთოდოლოგიის ჩართვა პროგრამის "უფლებამოსილებითი განათლება" პრაქტიკაში.		
ნანა ბერეკაშვილი, გუგული მაღრაძე	სამგზავრო გრანტები მონაწილეობის მისაღებად საერთაშორისო კონფერენციაში "გენდერული განათლების განვითარება თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში" (ბაქო, აზერბაიჯანი).	**$ 566**
საერთაშორისო სემინარი ჩატარდა 27 მარტს ბაქოში (აზერბაიჯანი).		
ეკატერინე ფირცხალავა, მადონა ჯაბუა, ქალთა პროგრამის კოორდინატორი	ქართული დელეგაციის მონაწილეობა ქსელური პროგრამის "უფლებამოსილებითი განათლება" საერთაშორისო სემინარში (ბიშკეკი, ყირგიზეთი).	**$ 2 293**
პროგრამის "უფლებამოსილებითი განათლება" ტრენერთა გუნდის წევრი, სკოლის დირექტორი / პროგრამის ტრენერი და ქალთა პროგრამის კოორდინატორი მონაწილეობდნენ "უფლებამოსილებითი განათლების" საერთაშორისო სემინარში (ბიშკეკი, 27-29 მაისი). სემინარზე ამ საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების გზები დაისახა.		
ნანა ბერეკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ნათელა სახოკია	სამგზავრო გრანტები მონაწილეობის მისაღებად გენდერული კვლევების განვითარების საზამთრო სკოლაში (სტამბული, თურქეთი).	**$ 1 950**
გენდერული კვლევების განვითარების საზამთრო სკოლა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამის სამწლიანი პროექტის ("გენდერული კვლევების განვითარება") ნაწილია. ამ პროექტის მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს წევრებმა, სხვა ლექტორებთან ერთად, წაიკითხეს კურსები გენდერის/ქალთა კვლევების სფეროში. იქვე მოეწყო სკოლის მონაწილეების/მკვლევართა პროექტების განხილვა და კონსულტაციები.		
ნანა ბერეკაშვილი	გენდერული თანასწორობა განათლებაში	**$ 3 000**
კვლევა გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი, თუ უთანასწორობის გამომწვევი პირობებისა ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში. სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა (სტუდენტებთან		

და მასწავლებლებთან მუშაობით) გენდერული უთანასწორობის გამომწვევი აშკარა და ფარული მიზეზების გამოსავლენად.		
ნინო დურგლიშვილი	ოჯახურ მიმართებათა ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოურ პერიოდში	**$ 2 950**
ოჯახურ ურთიერთობათა კვლევა რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გაანალიზების გზით. ცვალებადობის ტენდენციების გამოვლენა.		
ლელა ქირია	მუსლიმ ქალთა იდენტურობა და ინტეგრაციის ხარისხი საქართველოში.	**$ 3 000**
კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრებელ მუსულმან ქალთა იდენტურობის კონსტრუქციის გარკვევა მათი საკუთარი თვალთახედვიდან გამომდინარე. გაანალიზება იმისა, თუ რაგვარ გავლენას ახდენს ამ კონსტრუქციაზე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, და ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის დონე.		
მზია წერეთელი	სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენელთა გენდერულ-როლური იდეოლოგიის შედარებითი ანალიზი	**$ 2 998**
საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებში გენდერულ-როლური იდეოლოგიის კვლევა და შედარებითი ანალიზი. ქართული, სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ტრადიციულობის დონეთა გარკვევა.		
ევგენია (მანანა) ლილუაშვილი	თანამედროვეობა ნარატიულ ინტეგრალებში	**$ 3 992**
საქართველოს 1985-2005 წლების ისტორიის ქრონიკის წერა. ქალთა პროგრამის ზეპირი ისტორიების 2001-1005 წლებში შეგროვებული კოლექციები ქრონიკის ერთ-ერთ წყაროდაა ნაგულისხმევი.		
კავშირი "ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის"	კრებულის "გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა" გამოცემა.	**$ 1 960**
გენდერის დარგში საკითხავი წიგნის მომზადება და გამოცემა. სხვა მასალასთან ერთად, საკითხავი წიგნი წინა წელს განხორციელებული პროექტის (”თანამშრომლობა გენდერული კვლევების განვითარებისთვის საქართველოში”) ფარგლებში შემუშავებულ წერილებსაც მოიცავს.		
ნოდარ მანჩხაშვილი	პაულო ფრეიერის "დათრგუნულთა პედაგოგიკის" თარგმნა.	**$ 2 000**
ბრაზილიელი განმანათლებლის პაულო ფრეიერის ”დათრგუნულთა პედაგოგიკის” თარგმნა. წიგნის ქართული თარგმანი 2005 წლის სექტემბრისთვის დაიბეჭდება.		
ქალთა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის იმერეთის რეგიონული კომიტეტი	კრიზისული ცენტრი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის.	**$ 6 997**
ერთ-ერთი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის (ძდექ) ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში მოქმედ სამ კრიზისულ ცენტრთაგან. ქსელის იმერეთის კომიტეტი უზრუნველყოფს მსხვერპლთა იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, პრაქტიკულ ზომებს იღებს ქალთა და ბავშვთა დასაცადად ოჯახური ძალადობისგან.		
ძალადობისგან ქალთა და ბავშვთა დაცვის კახეთის რეგიონალური კომიტეტის საინიციატივო ჯგუფი	ქალთა პრობლემები XXI საუკუნეში	**$ 6 990**
ერთ-ერთი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის (ძდექ) ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში მოქმედ სამ კრიზისულ ცენტრთაგან. ქსელის კახეთის რეგიონალური კომიტეტი უზრუნველყოფს მსხვერპლთა იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, პრაქტიკულ ზომებს იღებს ქალთა და ბავშვთა დასაცადად ოჯახური ძალადობისგან.		
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი	ოჯახური ძალადობის დასაძლევად	**$ 30 131**

კრიზისული ცენტრისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მართვა, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თერთმეტი რეგიონალური კომიტეტის მუშაობის კოორდინირება, გაზეთის ("ხაზგასმით") გამოცემა, ტრენინგ-სემინარების ჩატარება და სხვ.		
ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება	რეგიონალური ანტი-ტრეფიკული პროგრამა	**$ 4 500**
საქართველოს, სომხეთისა და თურქეთის სამართალდამცავი სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანამშრომლობის დამყარება ტრეფიკინგის თურქეთში მოხვედრილ მსხვერპლთა დასახმარებლად.		
ფონდის ქალთა პროგრამა	საგანგებო შემთხვევა: ტრეფიკინგი	**$ 2 000**
ქალთა პროგრამის რეაგირება 22 ივნისს თბილისში გახსნილ ტრეფიკინგის შემთხვევაზე. მსხვერპლთა რეაბილიტაცია განხორციელდა წოვინარ ნაზაროვას (ექსპერტი ტრეფიკინგის სფეროში) და ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წევრების უანგარო დახმარებით.		
ელისო ამირეჯიბი	სემინარი: პროგრამა ძალადობის დასაძლევად	**$ 3 926**
პოლონელმა ექპერტებმა იადვიგა კუბიაკმა და მართა ზიემსკამ 2-4 აპრილს თბილისში ჩაატარეს სემინარი კრიზისული ცენტრების თანამშრომელთათვის. სემინარში 33 ადამიანმა (მათ შორის - ექიმები, მასწავლებლები, ფსიქოლოგები) მიიღო მონაწილეობა.		
ალექსანდრე მიქაბერიძე, ხათუნა თოდაძე, ელისო ამირეჯიბი, ნატო შავლაყაძე, დავით ლიჩელი	მონაწილეობა ალკოჰოლიზმისა და ზიანის შემცირების საკითხებისადმი მიძღვნილ 2-ე საერთაშორისო კონფერენციაში (ვარშავა, პოლონეთი).	**$ 3 820**
პოლიციის ოფიცრების, ალკოჰოლური დამოკიდებულების ექსპერტისა და ადამიანის უფლებების დამცველების მონაწილეობა ალკოჰოლიზმისა და ზიანის შემცირების საკითხებისადმი მიძღვნილ 2-ე საერთაშორისო კონფერენციაში.		
ზოია ხასია, მედიკო ალანია	მონაწილეობა საერთაშორისო სემინარში საპყრობილეებში ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს დამოკიდებულ ადამიანებთან მუშაობის თემაზე (ატლანტისის მოდელი), პოლონეთი.	**$ 1 451**
ციხეების მართვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეების მონაწილეობა საერთაშორისო სემინარში საპყრობილეებში ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს დამოკიდებულ ადამიანებთან მუშაობის თემაზე.		
ფონდის ქალთა პროგრამა	საერთაშორისო სემინარი ვებ-გვერდის "არ დავუშვათ ძალადობა ქალის მიმართ" ეროვნულ მონიტორთათვის.	**$ 13 179**
საერთაშორისო ტრენინგ-სემინარი ვებ-გვერდის "არ დავუშვათ ძალადობა ქალის მიმართ" ეროვნულ მონიტორთათვის თბილისში 2004 წლის 24-26 ივლისს ჩატარდა. სემინარს უძღვებოდნენ ჩერილ ტომასი და კრისტინ ტეფი (ორგანიზაცია: მენისოტელი ადვოკატები ადამიანის უფლებებისთვის).		
ფონდის ქალთა პროგრამა	საერთაშორისო სემინარი: გამოვასწოროთ მოძალადე მამაკაცები (დულუსის სასწავლო პროგრამა).	**$ 15 317**
თბილისში 2004 წლის 29-31 ივლისს ჩატარდა საერთაშორისო სემინარი მოძალადე მამაკაცებთან მუშაობის პროცესის შესახებ. დულუსის მოდელის საგანმანათლებლო პროგრამას დაფუძნებულ ამ სემინარს უძღვებოდნენ მაიკლ პეიმარი და როზ თელენი (ორგანიზაცია: მინესოტელი ადვოკატები ადამიანის უფლებებისთვის).		
ნინო ბაქაქური	ვებ-გვერდის "არ დავუშვათ ძალადობა ქალის მიმართ" ეროვნული მონიტორი საქართველოსთვის.	**$ 4 490**
როგორც საერთაშორისო ვებ-გვერდის StopVAW (www.stopVAW.org) მონიტორი, ნინო ბაქაქური მუშაობს ამ ვებ-გვერდის საქართველოს ნაწილის გამუდმებით გასაახლებლად.		
სალომე ასათიანი	მონაწილეობა გაერთიანებული ერების ევროპული	**$ 1 042**

	ეკონომიკური კომისიის რეგიონალურ მოსამზადებელ შეხვედრაში პეკინის სამოქმედო პლატფორმის შესრულების ხარისხის განსახილველად.	
სალომე ასათიანმა, დამოუკიდებელიმა ექსპერტმა და ჟურნალისტმა, მონაწილეობა მიიღო გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის რეგიონალურ მოსამზადებელ შეხვედრაში პეკინის სამოქმედო პლატფორმის შესრულების ხარისხის განსახილველად. შეხვედრა გაიმართა ჟენევაში 2004 წლის 13-15 დეკემბერს.		
ქალთა საინფორმაციო ცენტრი	სამხრეთ კავკასიის ქალთა ორგანიზაციების ინტეგრაცია (რეგიონალური ვებ-გვერდის შექმნა).	**$ 3 616**
რეგიონალური ვებ-გვერდი "სამხრეთ კავკასიის გენდერული საინფორმაციო ქსელი", რომელიც ზიარ საინფორმაციო სივრცეს ქმნის ქალთა ორგანიზაციების წარმატებისთვის.		
მშვიდობის კორპუსის ვოლუნტერების საინიციატივო ჯგუფი	გოგონათა ლიდერობის ბანაკი.	**$ 2 501**
ბანაკში ორმოცმა გოგონამ მიიღო მონაწილეობა. ლიდერობის ჩვევების გამოსამუშავებლად, გოგონათა თვითშეფასების დონის ასამაღლებლად, ჯანმრთელობისა და სხვა სფეროებში ცოდნის გადასაცემად ბანაკში მშვიდობის კორპუსის შვიდ მოხალისესთან ერთად შვიდმა ქართველმა კოლეგამაც იმუშავა.		
დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისათვის	ქართველ ქალთა საზოგადოებრივი აქტივობის ტრადიცია (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გენდერული ცენტრების თანამშრომლობის პროექტი).	**$ 3 490**
მომზადება და გამოქვეყნება წიგნისა საქართველოში ქალთა მოძრაობის შესახებ XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე.		
საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი	ქალთა საინფორმაციო მხარდაჭერის ცენტრი მარნეულში.	**$ 4 491**
ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალთა დახმარება: კომპიუტერული კურსები, იურიდიული კონსულტაციები, ტრადიციული ხელსაქმის სწავლება, პროგრამა "უფლებამოსილებითი განათლება" მასწავლებელთათვის. ცენტრი, რაიონული კომიტეტის ფუნქციით, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წევრია.		
ფონდის ქალთა პროგრამა	მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში "სტრატეგიები გენდერულ/ქალთა კვლევების განვითარებისთვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში" (ოჰრიდი, მაკედონია).	**$ 1 325**
კოორდინატორის მონაწილეობა კონფერენციაში გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის დამყარების მიზნით. კონფერენციას მოხსენდა შედეგები ქალთა პროგრამის ორწლიანი პროექტისა "ქალთა ზეპირი ისტორიები: მრავალეთნიკური საქართველო უკანასკნელ ათწლეულში".		
ფონდის ქალთა პროგრამა	პროგრამებთან დაკავშირებული კონფერენციები.	**$ 639**
ქალთა მოძრაობის ლიდერებმა, მკვლევრებმა გენდერული/ქალთა კვლევების დარგში, დაინტერესებულმა სტუდენტებმა, ერთიანად - ასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა პროფ. ანდრეა ჰეტოს საქართველოში სტუმრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელთაც ფონდის ოფისი მასპინძლობდა. ლექციები: "ქალი პოლიტიკაში. ევროკავშირი და თანაბარი შესაძლებლობები", "ომი, ძალადობა, გენდერი"; ერთდრიანი სემინარი "ზეპირი ისტორიები: თეორია და პრაქტიკა"; მრგვალი მაგიდა გენდერული კვლევების ინსტიტუციონალიზაციის შესახებ.		
ფონდის ქალთა პროგრამა	წიგნის "მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში" ქართული და რუსული ვერსიების გამოქვეყნება.	**$ 3 620**

გამოქვეყნდა და მიზნობრივად დარიგდა 550 ცალი წიგნის თითოეული ვერსიისა (ამათგან ორმოცდაათ-ორმოცდაათი გადაეცა გამომცემლობას).		
ფონდის ქალთა პროგრამა	საქმიანობა: პროგრამებთან დაკავშირებული თარგმანები	**$ 2 495**
ჰონორარები ქალთა პროგრამის საქმიანობათა ფარგლებში შემუშავებული სხვადასხვა ტექსტების თარგმნისთვის და რედაქტირებისთვის.		
კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი "ოქროს საწმისი".	საქართველო ფეხზე დგება (მშვიდობით, "ივერია").	**$ 660**
აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალთა გამომშვიდობება სასტუმრო "ივერიასთან".		
ფონდის ქალთა პროგრამა	გამოცემა გიორგი ცოცანიძის წიგნისა "თუშური ქრონიკები".	**$ 1 578**
მესამე წიგნი სერიისა "ქალთა მეხსიერება". გამოქვეყნებული მასალა ქალთა პროგრამის ზეპირი ისტორიების 2003 წლის კოლექციის ნაწილია.		
ფონდის ქალთა პროგრამა	მონაწილეობა ქსელური პროექტის "გენდერული მონტაჟი: პოსტსაბჭოთა სივრცის პარადიგმები" კონსულტანტთა საერთაშორისო საბჭოს შეხვედრაში" (2-5 აპრილი, სესტრორეცკი, რუსეთი).	**$ 744**
პროგრამის კოორდინატორის მონაწილეობა საერთაშორისო შეხვედრაში ქსელური პროექტის "გენდერული მონტაჟი: პოსტსაბჭოთა სივრცის პარადიგმები" მეორე საფეხურის სამუშაოთაა დასაგეგმად. პროექტი გულისხმობს დოკუმენტური ფილმების ახალი კოლექციის შექმნას გენდერულ/ქალთა საკითხებზე.		
არინა თავაქარაშვილი, ია მახარაძე	მონაწილეობა ჟურნალისტიკის მასწავლებელთა პირველ საერთაშორისო გენდერულ საზაფხულო სკოლაში, მოსკოვი, რუსეთი.	**$ 1 526**
სამგზავრო გრანტები გენდერული კურსების მასწავლებლებისთვის ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე. საზაფხულო სკოლა ჩატარდა 17-21 აგვისტოს მოსკოვში.		
ლელა გაფრინდაშვილი, ნატალია ზაზაშვილი, ლევან ღლონტი, ლიანა ჯაყელი, ქალთა პროგრამის კოორდინატორი	მონაწილეობა ქსელური პროექტის "გენდერული მონტაჟი: პოსტსაბჭოთა სივრცის პარადიგმები" საერთაშორისო სამუშაო შეხვედრაში (25 სექტემბერი-2 ოქტომბერი, იალტა, უკრაინა).	**$ 5 017**
სამგზავრო გრანტები კინოდოკუმენტალისტებს და ექსპერტს გენდერის სფეროში, და პროგრამის კოორდინატორის (ფილმების პროდუსერი) მონაწილეობა მასტერკლასში, რომელიც ნაწილია ქსელური პროექტისა "გენდერული მონტაჟი: პოსტსაბჭოთა სივრცის პარადიგმები".		
ჟურნალისტთა ასოციაცია "გენდერ/მედია/კავკასია"	ჟურნალისტები სექსიზმის წინააღმდეგ პოპ-კულტურაში.	**$ 13 250**
ჟურნალისტთა ასოციაცია "გენდერ/მედია/კავკასია" ასრულებს მასშტაბურ პროექტს, რომელიც მოიცავს: კვლევებს, სექსიზმის საწინააღმდეგო ვიდეოკლიპებისა და პლაკატის შექმნას, სტატიების კრებულის მომზადებას გამოსაცემად. პროექტის შედეგების შემაჯამებელი ღონისძიებაა ე.წ. მედია მეჯლისი.		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 213 124

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 153 774

საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი

საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრის მიზანია სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს იმ ქართველ სტუდენტებსა და პროფესიონალებს, რომელთაც სურთ სწავლის გაგრძელება ან კვალიფიკაციის ამაღლება აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, აშშ-სა და თანამეგობრობის ქვეყნებში.

2004 წელს ცენტრი აგრძელებდა თავის მუშაობას ძირითადად სოროსის ქსელის სტიპენდიების ადმინისტრირების მიმართულებით თბილისის ოფისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავისა და ახალციხის განყოფილებების მეშვეობით, სადაც მომხმარებელი იღებდა არა მხოლოდ თეორიულ ინფორმაციას არამედ შემდეგი სახის პრაქტიკულ დახმარებასაც:
- ცენტრში არსებულ ბიბლიოთეკაში მსურველები სარგებლობდნენ სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებებით, როგორიცაა საუნივერსიტეტო კატალოგები, გრანტებისა და სტიპენდიების მოსაძიებელი მეგზურები, სპეციალური თემატური ლიტერატურა, სხვადასხვა ტესტების მოსამზადებელი სახელმძღვანელოები: TOEFL, GMAT, GRE და სხვა, რომლებიც მოწოდებულია მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიდან და საქართველოში ამერიკის საელჩოს განათლებისა და კულტურის განყოფილების მიერ;
- ინფორმაციის მოპოვება და ტეტსების მომზადება ინტერნეტის მეშვეობით საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრის ინტერნეტ-ცენტრში, რომლითაც სარგებლობა ხდებოდა უფასოდ, წინასაწრი ჩაწერის საფუძველზე;
- ქართველი და უცხოელი ლექტორებისა და მრჩევლების მიერ, რეგულარულად, კვირაში ორჯერ, იმართებოდა სტუდენტებთან შეხვედრები და თემატური ლექციები სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების საშუალებების, სათანადო უნივერსიტეტებისა და ფინანსური დახმარების მოძიების შესახებ, ასევე წინასამგზავრო ორიენტაციები და სემინარები საგანაცხადო ფორმების შევსებისა თუ რეზიუმეებისა და თავისუფალი თემების დაწერის ტექნიკის შესახებ. კვირაში ერთხელ ასევე უცხოელი სტუმრების მიერ ეწყობოდა ფილმების ჩვენება შემდგომი დისკუსიებით.

წინა წლების მსგავსად 2004 წელს საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრს გამოცხადებული ჰქონდა 13 სხვადასხვა კონკურსი როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებში, ასევე გრძელ და მოკლევადიან სტაჟირებებსა და საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის მსურველთათვის. სოროსის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებში მონაწილეებს საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრში აგრეთვე შეეძლოთ მიეღოთ სამგზავრო გრანტები;

2004 წელს საერთაშოსრისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი ადმინისტრირებას უკეთებდა შემდეგ პროგრამებს:
აკადემიური პროგრამები:
1.- ოთხწლიანი პროგრამა ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ბულგარეთის ამერიკულ უნივერსიტეტში (AUBG);
შემოვიდა სულ 6 განაცხადი, სასწავლებლად გაემგზავრა 5 სტუდენტი;
2.- ერთწლიანი და ორწლიანი პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (CEU);
შემოვიდა 152 განაცხადი, სასწავლებლად გაემგზავრა 17 სტუდენტი;
3.- წელიწადნახევრიანი მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირებაში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში;
შემოვიდა 5 განაცხადი, გაემგზავრა 1 სტუდენტი;
4 -5. - ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამები უარუიკისა (Warwick) და ედინბურგის (Edinburgh) უნივერსიტეტებში, დიდი ბრიტანეთი;
Warwick-ის უნივერსიტეტის კონკურსში შემოვიდა 38 განაცხადი, გაემგზავრა 1 სტუდენტი;
Edinburgh-ის უნივერსიტეტის კონკურსში შემოვიდა 16 განაცხადი, გაემგზავრა 4 სტუდენტი.
6.- ორწლიანი პროგრამა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად სოციალურ მუშაკთათვის აშშ-ს სხავდასხვა უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში (SWF);
შემოვიდა 40 განაცხადი, კონკურსში გაიმარჯვა 3 აპლიკანტმა.
7.- სოროსის დამატებითი გრანტების პროგრამა საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში (SSGP);
შემოვიდა სულ 10 განაცხადი, დამატებითი დაფინანსება მიიღო 3 სტუდენტმა;
8.- გლობალური დამატებითი გრანტების პროგრამა დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების ქართველი დოქტორანტებისათის (GSGP);
გრანტი მიიღო 2 სტუდენტმა.

მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირებები და საზაფხულო სკოლები ახალგაზრდა მეცნიერთა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ- მასწავლებელთათვის:
9. - ოქსფორდის კოლეჯებში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები (Oxford Colleges Hospitality Scheme);
შემოვიდა 28 განაცხადი, გაემგზავრა 2 კაცი.
10.- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების სარესურსო ცენტრი ბუდაპეშტში (CRC);
შემოვიდა 20 განაცხადი, გაემგზავრა 9 კაცი;
11.- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების განვითარების ცენტრი ბუდაპეშტში (CDC);
შემოვიდა 4 განაცხადი, დადებითი პასუხი მიიღო 2 აპლიკანტმა;
12. - ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლა (SUN) - გაემგზავრა 12 კაცი.
13.- უმაღლესი სკოლების ახალგაზრდა მასწავლებელთა ორწლიანი გადამზადება - სტაჟირება ამერიკის შეერთებულ შტატებში (FDF);
შემოვიდა 12 განაცხადი, გაიმარჯვა 4 აპლიკანტმა.

საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრის მიმდინარე პროგრამებში 2004 წელს სულ შემოვიდა 325 განაცხადი, რომელთაგან კონკურსში გაიმარჯვა 63 აპლიკანტმა.

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 108 000

ეკონომიკური განვითარების პროგრამა

საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და მასში ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველოს" წვლილის გათვალისწინებით, 2004 წელს ეკონომიკური განვითარების პროგრამის მიზანია გააძლიეროს მისი საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით:
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა
- კონფლიქტურ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების მხარდაჭერა
- ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობის მიღება და სექტორისათვის პრიორიტეტული პროექტების გამოვლენა და განხორციელება

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" - შიდა პროექტი	სპეციალური საკრედიტო პროგრამა მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში	**$ 136 440**
პროექტი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისთან ერთად. პროექტის ფარგლებში მომზადდა ორმოცამდე ბიზნეს გეგმა, რომელთაგანაც თვრამეტი, პროექტთან არსებული სპეციალური საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებით დაფინანსდა შეღავათიანი კრედიტით. აღნიშნული პროექტის განხორციელებამ შექმნა ეფექტური მოდელი მაღალი ფინანსური რისკის რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის.		
ეკონომიკური ცოდნის გავრცელების საზოგადოება "ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველო"	ეკონომიკური განათლება: რეალიები და ალტერნატივები	**$ 6 106**
პროექტის მიზანი იყო საერთაშორისო კონფერენციის მოწყობა თემაზე - "ეკონომიკური განათლება: რეალიები და ალტერნატივები". აღნიშნული საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა ქალაქ თბილისში, 2004 წლის ოქტომბერში.		
განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი	სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, განათლების სისტემასა და ბიზნეს სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობით	**$ 13 512**
პროექტის ფარგლებში "განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტმა" უზრუნველყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადგილობრივი ბიზნესმენებისათვის ტრეინინგებისა და სემინარების სერიის ჩატარება სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა: მარკეტინგის,		

ბიზნეს მენეჯმენტისა და ბიზნეს დაგეგმარების თანამედროვე პრინციპები. ასევე გადადგა ნაბიჯები წარმატებული ბიზნეს გამოცდილების საგანმანათლებლო სისტემაში პოპულარიზაციისათვის. ღონისძიებებთან ერთად, ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, შეიმუშავა რეკომენდაციები ადგილობრივი მმართველობითი რგოლებისათვის, რეგიონის ბიზნეს სტრუქტურებსა და სასწავლო დაწესებულებებისათვის.		
საქართველოს ეკონომიკური განათლების ასოციაცია	სამცხე-ჯავახეთის სკოლის ეკონომიკის მასწავლებელთა მომზადება	**$ 4 480**
პროექტის მიზანი იყო საქართველოში ეკონომიკის მასწავლებელთა მომზადება სწავლების თანამედროვე მეთოდიკის გამოყენებით და ამ გზით როგორც განათლების სისტემის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპის გაუმჯობესება. კერძოდ, პროექტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მომზადდა 40 სკოლის, ლიცეუმის და კოლეჯის მასწავლებელი ეკონომიკის სწავლებისათვის.		
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" - შიდა პროექტი	"საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებისა და ადმინისტრაციული ფუნქციონირების სრულყოფა"	**$ 11 832**
პროექტის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მიმდინარე კანონმდებლობის ანალიზი და ახალი კანონპროექტის მომზადება. პროექტის ფარგლებში მომზადებული კანონპროექტი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, გადაეცა საქართველოს მთავრობას და 2005 წლის დასაწყისში სამი მოსმენით მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.		
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" - შიდა პროექტი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის ვებ-გვერდის მომზადება	**$ 1 000**
პროექტის ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებსაიტის და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის შემუშავება, დიზაინი და შექმნა, რაც მნიშვნელოვანია სახელწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის გაზრდისათვის.		
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" - შიდა პროექტი	”ვაზის ფესტივალი 2004-ის გენერალური სამუშაო გეგმის მომზადება”	**$ 1 155**
პროექტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა საქართველოში "ვაზის ფესტივალის" განხორციელების დეტალური გეგმა და გადაეცა საქართველოს კულტურის სამინისტროს შემდგომი იმპლემენტაციისათვის. "ვაზის ფესტივალის" მიზანია კახეთში ყოველწლიურად ჩატარდეს სპეციალური ღონიზძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და რეგიონში ტურიზმის განვითარებას.		
ეკონომიკური ცოდნის გავრცელების საზოგადოება "ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველო"	”ხაზინის შესახებ” კანონპროექტის მომზადება	**$ 7 668**
პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს ხაზინის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზა. არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მომზადდება კანონპროექტი "ხაზინის შესახებ", რომელიც საჯარო განხილვის შემდგომ გადაეცემა საქართველოს პარლამენტს შემდგომი პროცედურების გასავლელად.		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 182 193

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 412 193

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა

ფონდის ეროვნული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის ძირითადი ამოცანაა გრანტების გაცემის გზით მხარი დაუჭიროს საქართველოს ჯანდაცვის სფეროს განვითარებას ახალი ურთიერთობების ფორმირების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ეფექტური პროექტების განხორციელების და მოსახლეობაში დაავადებების პროფილაქტიკისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით. დასახული მიზნების მისაღწევად პროგრამამ 2004 წელს ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრიორიტეტულ

სფეროებზე:
-კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სფეროში მომუშავე პროფესიული გაერთიანებების ხელშეწყობა დაავადებათა მართვის სტანდარტების (Disease Management Standards) შემუშავებისათვის.
-საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის შემუშავება: ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანდაცვის ეკონომიკა, ჯანდაცვის პოლიტიკა და სხვ.
-პაციენტთა უფლებების ინსტიტუციონალური დაცვის გაძლიერება (სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ეთიკური კომისიები, პაციენტთა ორგანიზაციები).
-მენტალურად დაავადებულთა დეინსტიტუციონალიზაციისათვის თემზე ორიენტირებული ალტერნატიულ პროგრამების მხარდაჭერა.
-ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების პროექტების მხარდაჭერა.
-სამედიცინო საზოგადოებისთვის პალიატიური მედიცინის თანამედროვე ამოცანების და მიდგომების გაცნობა. პალიატიური მედიცინის სფეროში საცდელი პროექტების განხორციელება.

ნერვული სნეულებებით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის არასამთავრობო კავშირი	ტრეინინგი რეაბილიტაციასა და ფიზიკურ თერაპიაში	**$ 1 396**
ჰოლანდიელი სპეციალისტების პიეტა ვისერას (ფიზიკური თერაპევტი) და იოჰან ვესტერლინგის (ადაპტაციურ საშუალებათა თერაპევტი) ვიზიტი საქართველოში ქართველი ფიზიკური თერაპევტებისათვის თეორიული და პრაქტიკული თრენინგის ჩასატარებლად.		
მარინა უჯმაჯურიძე, ნინო მჭედლიშვილი, მანანა დავითაშვილი, ლალი ხანდოლიშვილი, თამარ მახარაძე	"გონებრივად დაავადებულთა დახმარების პროგრამის" სემინარში მონაწილეობის მიღება, ბუდაპეშტი, 3-6 ივნისი, 2004	**$ 5 350**
ზურაბ ბაგრატაშვილი, ნანა ზავრადაშვილი, დავით ჯოლბორდი, ელენე მაკარიძე, ანა იმნაძე	"გონებრივად დაავადებულთა დახმარების პროგრამის" სემინარში მონაწილეობის მიღება. კიშინოვი, 13-16 მაისი, 2004	**$ 4 300**
კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ	სოციალური ცხოვრება ბარიერის გარეშე	**$ 5 000**
გონებრივად დაავადებულთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მას მედიური ღონისძიებების კვირეულის (30 ნოემბერი-5 დეკემბერი) ჩატარება		
საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია	ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანის უფლებები ადამიანის უფლებებია	**$ 6 500**
გონებრივად დაავადებულთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მას მედიური ღონისძიებების კვირეულის (30 ნოემბერი-5 დეკემბერი) ჩატარება		
კავშირი "ახალი გზა"	მედია ინიციატივა-ზიანის შემცირება	**$ 7 000**
შიდსის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ღონისძიებების ორგანიზება		
დალი უშარიძე, დიმიტრი ღლონტი, ზორია წურწუმია, ოთარი ტაბატაძე,	ზიანის შემცირება-მედია თრეინინგში მონაწილეობის მიღება. ბუდაპეშტი 19-23 ივნისი, 2004	**$ 3 256**
ავთანდილ ანთაძე	ნარკო პოლიტიკის კონფერენციაში მონაწილეობა, ბერლინი 24-28 მაისი, 2004	**$ 911**
სოფიო თოდუა	ერთად გადავლახოთ ბარიერი - ნარკოტიკებთან მიმართებაში ბეჭდვითი მედიის მიმოხილვა	**$ 880**
ნარკოსიტუაციასთან მიმართებაში ბეჭდვითი მედიის მიმოხილვა		

მარინა ასათიანი, თამარი სირბილაძე, დავითი ოთიაშვილი, დალი უშარიძე, კონსტანტინე ლაბარტყავა, ოთარი ტაბატაძე, ზორია წურწუმია, ნანა ჯინჭარაძე	ზიანის შემცირების კონფერენციაში მონაწილეობის მიღება, კიევი 4-7 ოქტომბერი, 2004	**$ 4 800**
სოხუმის ნარკოლოგიური დისპანსერი	ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირება აფხაზეთში	**$ 27 980**
ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამის განხორციელება აფხაზეთში		
აჭარის ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრი	ბათუმში შიდსის პროფილაქტიკა	**$ 19 000**
ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამის განხორციელება აჭარაში		
კავშირი "ახალი გზა"	ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამა	**$ 20 000**
ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამის განხორციელება ქ. თბილისში		
საქართველოს პლუს ჯგუფი	ჩანაცვლებითი თერაპიის საინფორმაციო მხარდაჭერა	**$ 3 550**
ჩანაცვლებით თერაპიაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალის მომზადება და გამოშვება		
არჩილ რეხვიაშვილი, თეა ჭახრაკია	მონაწილეობა სემინარში ”თანამშრომლობა პოლიციასთან”, ვილნიუსი, 14-17 დეკემბერი, 2004	**$ 1 854**
დავითი მაისურაძე, ლიზა ფეიქრიშვილი, თამარი სარია, ზაზა მეზვრიშვილი, დავით ნიკოლეიშვილი, მაგდანა ბეთანელი, ნინო გამცემლიძე, ნინო ნანეიშვილი, სალომე ღლონტი, დიმიტრი კორძაია, ნატალია გონჯილაშვილი, თამარ ყიფიანი, დინა ქურდიანი, ნინო ჯაშიაშვილი, მანანა ჭაია, სიმონი გაბრიჩიძე, ეკატერინე გემაზაშვილი	ზალცბურგის სამედიცინო სემინარებში მონაწილეობა	**$ 12 680**
გიორგი ბახტურიძე, დევი გოგეშვილი, თეონა კვანტალიანი,	”თამბაქოს კონტროლის” სემინარში მონაწილეობა, კიევი, 11-14 ნოემბერი, 2004	**$ 1 500**
ნანა სუმბაძე	მონაწილეობა კონფერენციაში "პოლიტიკის შექმნა" სტამბული, 8-12 სექტემბერი, 2004	**$ 755**
მარინა დავითულიანი, გიორგი კუხიანიძე	სემინარში "საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია" მონაწილეობა, ალბანეთი, დურესი, 11-13 მარტი, 2004	**$ 2 146**
თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლანტაციისა და მონიტორინგის ცენტრი	თამბაქოს ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში	**$ 13 470**
აქტივობები, რომლებიც მიმართულია საქართველოს პარლამენტის მიერ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებაზე		
"ველფეარ ფაუნდეიშენი"	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სექტორის	**$ 89 800**

	გაძლიერება საქართველოში	
საექსპერტო ჯგუფის მხარდაჭერა, რომელიც უცხოელ სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს საზოგადოებრივი ჯანრმთელობის სფეროში რეკომენდაციებს სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად		
ნინო გიგუაშვილი	მოსკოვის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა, 7-15 ივლისი, 2004	**$ 1 355**
ნინო გიგუაშვილი	მსხვილი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნეების კონტროლის ალტერნატიული სტრატეგიების ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზი საქართველოში	**$ 5 000**
ჰუმანისტთა კავშირი	საქართველოში პალიატიური მზუნველობის სისტემის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა	**$ 23 600**
საქართველოში პალიატიური მზრუნველობის სისტემის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა - ჯანდაცვითი რესურსების პროფესიული განათლების კურიკულუმებში "პალიატიური მზრუნველობის" ჩართვის, კადრების პრაქტიკული დახელოვნების ხელშეწყობის, საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდისა და ბიოეთიკური გარემოს გაუმჯობესების გზით.		
ონკოპრევენციის ცენტრი	პალიატიურ მზრუნველობაში საერთაშორისო სტანდარტების შემოღება	**$ 3 568**
მაია დათუაშვილი	კონფერენციაში - "სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები" მონაწილეობის მიღება, 18-30 ივლისი, 2004 ვაშინგტონის უნივერსიტეტი	**$ 1 700**
კლინიკური ეფექტურობის რეპროდუქტოლოგიური ცენტრი	მანუალური ვაკუუმ ასპირაციის განვითარება საქართველოში	**$ 8 221**
ქ. თბილისში მანუალური ვაკუუმ ასპირაციის თრეინინგ ცენტრის ჩამოყალიბება		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 275 572

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 300 000

ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული პროგრამა

პროგრამის მიზანია საქართველოს კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა შემდეგი პრიორიტეტების შესაბამისად:
-თანამედროვე ხელოვნება და კულტურა
-კულტურის მემკვიდრეობა
-კულტურის კვლევები
-კულტურის პოლიტიკა

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი; მშვიდობის,დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.	ტოლერანტული გარემოსა და რელიგიური პლიურალიზმის ხელშეწყობა.	**$ 20 569**
რელიგიური განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის პროექტის შექმნა; სკოლებში ტოლერანტობისა და რელიგიური პლურალიზმის სწავლებისთვის საგაზისო ტრენინგის მეთოდოლოგიის შემუშავება: ტრენერებისათვის ტრენინგის მეთოდოლოგიისა და საგაზისო ტრენინგის მონაწილეთათვის სახელმძღვანელო მასალის მომზადება; გამოცემა და გამოცდა.		

გია ქარჩხაძის გამომცემლობა	ოქსფორდის სამეცნიერო ილუსტრირებული ენციკლოპედია	**$ 5 858**
Oxford University Press-ის მიერ გამოცემული ოქსფორდის სამეცნიერო ილუსტრირებული ენციკლოპედიის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა.		
თსუ, კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკის და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი	ანტიკურობის ენციკლოპედია	**$ 5 983**
ანტიკური სამყაროს შესახებ არსებული უახლესი და ყველაზე უფრო უნივერსალური ინტერდისციპლინარული ენციკლოპედიის- Oxford Classical Dictionary -ის მოკლე ვერსიის თარგმნა და გამოცემა.		
გივი ყიფიანი	კულტურული მემკვიდრეობის მართვის სამართლებრივი ბაზის რეფორმა	**$ 4 000**
კულტურული მემკვიდრეობის სამართლებრივი საფუძვლების დასავლურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა- საფრანგეთის"კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის(Code du Patrimonie)" თარგმნა, გამოცემა, გავრცელება და მრგვალი მაგიდის მოწყობა.		
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი	წიგნის პროექტი: მისი აკვარელები საქართველოს სახელმწიფო მუზუმში	**$ 5 000**
ცნობილი გერმანელი მხატვრისა და ეთნოგრაფის მაქს ტილკეს აქამდე გამოუქვეყნებელ ნაშრომთა ამსახველი წიგნის მომზადება და გამოცემა. წიგნში შევა მხატვრის 83 აკვარელი (კავკასიელები ეთნიკურ კოსტიუმებში) და ტექსტი მხატვრისა და მისი შემოქმედების შესახებ.		
იუზა ხუსკივაძე	შუა საუკენეების ქართული კედლის მხატვრობის უცნობ და ნაკლებად ცნობილ ძეგლთა დოკუმენტაცია	**$ 2 722**
დასავლეთ საქართველოში შუა საუკენეების ქართული კედლის მხატვრობის უცნობ და ნაკლებად ცნობილ ძეგლთა დოკუმენტაცია (კვლევა და ფიქსაცია)		
ფონდი "თბილისი და ფარაჯანოვი"	"ფარაჯანოვი თბილისს უბრუნდება"	**$ 2 747**
სერგო ფარაჯანოვის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის, გამოფენის, რეტროსპექტივის მოწყობა თბილისში.		
ელგუჯა დადუნაშვილი	ფოლკლორული ექსპედიაცია მაღალმთიან აჭარაში	**$ 4 992**
მაღალმთიანი აჭარის ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის (მუსიკალური და სიტყვიერი ფოლკლორი, პლასტიკა) კომპლექსური დოკუმენტაცია და მოპოვებული მასალის ინტერნეტ გვერდებზე განთავსება.		
ლევან მეხუზლა	საქართველო XVII-XiX საუკუნეების დასავლეთ ევროპულ გრავიურაში	**$ 4 251**
XVII-XiX სს. დასავლეთ ევროპელი მხატვრების მიერ შექმნილი გრავიურების შესწავლა,დამუშავება (100-120 გრავიურა) და შემდგომში გამოსაცემად მასალის დიგიტალური მაკეტის მომზადება.		
ნინო ჩირგაძე	ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები. I- კახეთი (ილუსტრირებული ბროშურის გამოცემა)	**$ 3 491**
ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციების ამსახველი პოპულარული ილუსტრირებული ბროშურების სერიის I ბროშურის-"კახეთი" მომზადება და გამოცემა.		
ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი.	"წამკითხველო, გთხოვთ შენდობასა" (საფლავის ქვა და ეპიტაფია)	**$ 3 048**
საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც ქვაზე კვეთის და ეპიტაფიის თხზვის ტრადიცია არსებობდა-საფლავის ქვებისა და ეპიტაფიების გადარჩენა ტექსტუალური და ფოტო ფიქსაციის გზით.		
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის	დიდი მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები.	**$ 4 000**

მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი	კატალოგების და პასპორტების მომზადება კომპიუტერული ბანკის შექმნისათვის	
დიდი მცხეთის არქეოლოგიური ძეგლების სრულყოფილი კომპიუტერული მონაცემთა ბანკის შექმნა.		
სამსონ ლეჟავა	რაჭული ხის ხუროთმოძღვრების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია და კომპიუტერული ბაზის შექმნა	**$ 3 932**
რაჭაში "კოლხური ოდა-სახლის" ტიპის საცხოვრებელი სახლების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია და კომპიუტერული ბაზის შექმნა.		
ნანა მშველიძე	კომპოზიტორ შალვა მშველიძის შემოქმედების ელექტრონული არქივის შექმნა	**$ 1 456**
კომპოზიტორ შალვა მშველიძის ელექტრონული არქივის შექმნა, რაც გადაარჩენს საქართველოს მუსიკალური მემკვიდრეობის უნიკალურ ტექსტურ, სანოტო, ვიდეო-აუდიო მასალებს .		
ზოია (ზიზი) თორთლაძე	ექსპონატთა მონაცემთა კომპიუტერული ბაზის შექმნისათვის	**$ 3 896**
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში,აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილებაში დაცული ექსპონატთა (850 ერთეული) ვიზუალურ-ტექსტური მონაცემთა კომპიუტერული ბაზის შექმნა.		
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (თსუ)	საქართველოს მთის რეგიონების ტოპონიმთა კომპიუტერული ბაზის შექმნა	**$ 4 000**
შეიქმნება საქართველოს მთის რეგიონების (ფშავის, ხევსურეთის, თუშეთის, რაჭის, ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის) ტოპონიმთა კომპიუტერული ბაზა, რომელშიც შევა 60 000-მდე გეოგრაფიული სახელწოდება სრულყოფილი და ამომწურავი საპასპორტო მონაცემებით.		
ქეთევან კორძახია	ლენდ არტის საერთაშორისო პროექტი "ციხე-სიმაგრე"	**$ 2 160**
ქართველი და უცხოელი (გერმანია,საფრანგეთი, აზერბაიჯანი) მხატვრების ერთობლივი შემოქმედებითი პროცესი საქართველოს მთიან რეგიონში-ხევსურეთში.		
ასკარ (ბაჩი) ქიტიაშვილი	ჯგუფ "ბერმუხას" საიუბილეო საღამო	**$ 3 030**
საქართველოში როკ მუსიკის ერთერთი პირველი გამავრცელების ჯგუფ "ბერმუხას" 40 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში.		
საქართველოს ახალგაზრდა რეჟისორთა კავშირი "ახალი სტუდია"	XX ს.-ის ქართული კულტურა - ვიდეო არქივი	**$ 6 155**
"ახალი სტუდიის" ბაზაზე შექმნილი ვიდეო არქივს შეემატება ვიდემასალა უფროსი თაობის შემოქმედთა ნაწილის შესახებ, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული კულტურის განვითარებაში(კინორეჟისორები მ.კობახიძე, მ.კოკოჩაშვილი; კომპოზიტორი თ.ბაკურაძე; ორღანისტი ე.მგალობლიშვილი; ქორმაისტერი,ლოტბარი-შ.მოსიძე; მწერალი-გ.დოჩანაშვილი; პოეტი-ა.კალანდაძე).		
მარინე ვასაძე	გაზეთი "კულტურა"	**$ 3 989**
გაზეთ "კულტურის" დაარსება და გამოშვება.გაზეთი ემსახურება როგორც ქართული კულტურის პოპულარიზაციას, ისე ახალგაზრდა არტკრიტიკოსთა პროფესიულ დაოსტატებას. გაზეთი გამოდის ქართულ ენაზე და მასში განთავსებულ ყველა წერილს თან ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე.		
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	XX საუკუნეების საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი (ინგილოური-სამყარო წინაპრების თვალით)	**$ 6 035**

პროექტი ითვალისწინებს XX ს. მოპოვებული დიალექტოლოგიური მასალების არქივირებას: აუდიოკასეტებზე ჩაწერილი ტექსტის გაშიფრვას, ტექსტების ელექტრონული ვერსიის შექმნას და მასალის აუდიოკასეტებიდან "კომპაქტდისკებზე" გადატანას.		
საინიციატივო ჯგუფი. პროექტის დირექტორი მაია აზიკური	"კახეთი"	**$ 5 974**
წიგნის მომზადება და გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს ცნობილი მეცნიერების უახლესი სამეცნიერო-პოპულარული გამოკვლევები კახეთის პალეონტოლოგიურ ძეგლებზე,არქეოლოგიაზე, ისტორიაზე, ხელოვნებაზე,უძველეს დამწერლობით ძეგლებზე, ვაზისა და მეღვინეობის ისტორიაზე.		
ხელოვნების განვითარების ცენტრი "ART-არსის"	ქართული მხატვრობა.ქართული სახვითი შექსპირიანა კატალოგის ელექტრონული ვერსია	**$ 2 823**
შექსპირის თემებზე მომუშავე 230-ზე მეტი მხატვრის მონაცემთა ბაზის შექმნა, 1000-ზე მეტი ნამუშევრის აღნუსხვა, ქართული სახვითი შექსპირიანის ისტორიისადმი, მისი მსოფლიო შექსპირიანასთან კავშირების გამოვლენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიის შექმნა და კატალოგის -"ქართული მხატვრობა. ქართული სახვითი შექსპირიანა" ელექტრონული ვერსიის (CD) გამოშვება ქართულ და ინგლისურ ენებზე.		
თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრი - გალერეა შარდენი	ინოვაციები თანამედროვე ქართული მინაქრის ხელოვნაბაში	**$ 2 979**
თანამედროვე ქართული მინანქრის შემდგომი განვითერების ხელშწყობა საზღვარგარეთ არსებული ინოვაციების დანერგვის გზით, რისთვისაც თბილისში მოეწყობა სემინარი და ვორქშოფების ციკლი.		
ნინო ქირია	კულტურის ვიდეოცენტრის ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება	**$ 3 075**
კულტურის ვიდეო ცენტრის აღჭურვა DVD სისტემის აპარატურით, რაც აუცილებელია ცენტრის შეუფერხებელი და ნაყოფიერი მუშაობისთვის		
გორის საზოგადოებრივი განვითარების ცენტრი	ზღაპრის საბავშვო თეატრი	**$ 4 767**
გორში ზღაპრის საბავშვო თეატრის დაარსება და ბავშვების მონაწილეობით ორი სპექტაკლის დადგმა.		
გიორგი ნადირაძე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია	**$ 4 697**
XIX-XXსს. ქართული კოსტუმის დიზაინის შესწავლა (თეატრის, კინოს,ოპერისა და ბალეტისთვის შექმნილი კოსტუმების ბაზაზე), ფოტოფიქსაცია, კომპიუტერული ბაზისა და ვებ გვერდის შექმნა.		
ნატო გენგიური	ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება "კუპელჰალე"	**$ 4 832**
საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული კუპელჰალეს ტიპის არქიტექტურული ძეგლების ამსახველი ალბომის გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება დღემდე ცნობილი ყველა ეკლესია (19 ძეგლი, VIII-XIXსს), სრული ინფორმაცია თითოეულ მათგანზე, 100-მდე ფერადი ილუსტრაციით, ნახაზებით, რუკით.		
გიორგი ცოცანიძე	გზამკვლევი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სამოგზაუროდ	**$ 5 000**
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის -თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის შესახებ 150-200 გვერდიანი, ილუსტრირებული გზამკვლევის შედგენა და გამოცემა.		
თამარ (ტატა) კლიონინა	ახალგაზრდა ხელოვანთა თვითრეალიზაციისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი კონკურს-ფესტივალი "დებიუტი"	**$ 4 000**

სტუდენტური საერთაშორისო კონკურსი-ფესტივალის "დებიუტის" მომზადება და ჩატარება. მონაწილეები-ხელოვნების სხვადასხვა დარგის (თეატრი,კინო,სახვითი ხელოვნება,ფოტო) სტუდენტები.		
მარინე გაგნიძე	”ვარდისფერი სივრცე”	**$ 2 878**
თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შექმნა (მხატვრები-გ.პაქსაშვილი, ნ.მორბედაძე, გ.გუგუშვილი, დ. ბადრიძე, კ.ჯინჭარაძე), გამოფენების მოწყობა თბილისსა და რეგიონებში .		
თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი	დახმარების აღმოჩენა საოფისე ტექნიკის შეძენაში	**$ 400**
დახმარების აღმოჩენა საოფისე ტექნიკის -პრინტერის შეძენაში		
ელენე კილაძე	ქართული ხელოვნების წარდგენა ნიუ-იორკის არტ საზოგადოების წინაშე დოილის ნიუ-იორკის აუქციონზე	**$ 4 000**
საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის დოილის ნიუ-იორკის აუქციონზე წარდგენა ამერიკელების წინაშე, რაც ერთერთი საუკეთესო საშუალებაა ჩვენი ქვეყნის წარმოსაჩენად და ამერიკელ და ქართველ ხალხს შორის ახლო მეგობრული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.		
თემურ ცავა	ასტეროიდი #5270-"განგმირული თევზი"	**$ 5 000**
მხატვარ დავით კაკაბაძის მიერ 1929-30 წწ. შექმნილი დოკუმენტური ფილმის აღდგენა და აშშ-ში დაცული მისი ქანდაკება "Z"-ის ასლის დამზადება და საქართველოში ჩამოტანა.		
დალი უბილავა	"ხიდების მშენებლები"	**$ 4 375**
30 წუთიანი დოკუმენტური ფილმი სახალხო დიპლომატიაზე, ქართველებსა და აფხაზებს შორის.		
გია საღინაძე, მალხაზ კუხიანიძე	"ომის ბავსშვები"	**$ 7 940**
დოკუმენტური ფილმი აფხაზეთის ომის ბავშვებზე. ფილმი შედგება 5 ისტორიისგან.		
საქართველოს მუზეუმების ასოციაცია	საქართველოს მუზეუმების მონაცემთა ბაზის შექმნისათვის	**$ 3 983**
საქართველოს მუზეუმების მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც მოხდება 240-მდე მუზეუმში არსებული სიტუაციის გაანალიზება, ექსპონატთა ადგილმდებარეობისა და დაცულობის სრულად დაფიქსირება.		
ესმა თურქია	მხატვარ რენო თურქიას ნამუშევართა კატალოგიზაცია	**$ 300**
მხატვარ რენო თურქიას ნამუშევართა კატალოგიზაცია		
შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი	დირბის ღმრთისმშობლის ეკლესია-ილუსტრირებული მონოგრაფია	**$ 4 977**
კულტურული მემკვიდრეობის აქამდე უცნობი ძეგლის-დირბის XI. ღმრთისმშობლის ეკლესიის (ქარელის რ-ნის, სოფ დირბი) ილუსტრირებული მონოგრაფიის (ისტორია, ხუროთმოძღვრება, კედლის მხატვრობა) მომზადება-გამოცემა.		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 174 444

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 204 700

ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამა

ხელოვნება და კულტურა ასახავს ღია საზოგადოების ღირებულებებს და ზემოქმედებს საზოგადოებრივ აზრზე, თუმცა ეს სფერო იშვიათად პოულობს ადეკვატურ აღიარებას და რესურსებს, როგორც სახელმწიფოს , ისე საზოგადოების მხრიდან.
იმისათვის, რომ შეივსოს მხარდაჭერის უკმარისობა, ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამა ხელს უწყობს კულტურულ და შემოქმედებით თანამშრომლობას სოროსის ფონდების ქსელში; მხარს უჭერს სტრუქტურულ ცვლილებებს კულტურის პოლიტიკაში; ეხმარება დამოუკიდებელი და ინოვაციური ხელოვნების სექტორის ჩამოყალიბებაში. პროგრამის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის

კულტურულ თანამშრომლობას და კონტაქტების გაღრმავებას.
ხელოვნებისა და კულტურის 2004 წლის პროგრამის გეოგრაფიული პრიორიტეტია კავკასია (სომხეთი,აზერბაიჯანი და საქართველო), ცენტრალური აზია (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი), მონღოლეთი, ირანი და ავღანეთი. პროგრამის ყველა კონკურსი 2004 წელს მხოლოდ ზემოხსენებულ ქვეყნეებს შეეხება.

ლევან ხეთაგური	ლ.ხეთაგურის მგზავრობა. ELIA კონფერენციაზე	**$ 1 435**
ლ.ხეთაგურის მგზავრობა. ELIA (ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების ევროპული ლიგა) კონფერენციაზე ლუცერნში.		
ნინო გედევანიშვილი	ნ.გედევანიშვილის მგზავრობა ELIA კონფერენციაზე	**$ 1 435**
ნ.გედევანიშვილის მგზავრობა. ELIA (ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების ევროპული ლიგა) კონფერენციაზე ლუცერნში.		
თანამედროვე ხელოვნების კლუბი	მხატვრები საზღვრებს გარეშე	**$ 5 000**
საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ისეთი ახალი კონტაქტების დამყარება, რომლებიც ხელს შეუწყობს მშვიდობიან დიალოგს ამ ქვეყნებს შორის. თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გზით ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში სხვადასხვა პრობლემების წარმოჩენა და გაშუქება.		
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ასოციაცია	ჩემი წლები ჩემი სიმდიდრეა	**$ 4 995**
სხვადასხვა ინფორმაციული და საგანმანათლებლო ღონისძიებები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების "მესამე ასაკის" წარმომადგენელთათვის სოციალური და კულტურული ცხოვრების ახალ პირობებთან ადაპტაციის მიზნით		
ნინო გუნია-კუზნეცოვა	"კულტურის ობსერვატორიების კავკასიის ქსელი"	**$ 7 530**
კულტურის ობსერვატორიების (თბილისი, ერევანი, ბაქო) კავკასიის ქსელის შექმნა, ინტერკულტურული დიალოგისა და კავკასიის კულტურათა შესწავლისა და გავრცელების მიზნით.		
ნინო გუნია-კუზნეცოვა	სამგზავრო გრანტი დუშამბეში, სემინარში მონაწილეობის მისაღებად	**$ 1 716**
დუშამბეში, Compendium-ის საკითხებისადმი მიძღვნილ სემინარში მონაწილეობის მიღება.		
ნინო გედევანიშვილი	მგზავრობა დუშანბეში ინტერკულტურის სემინარზე .	**$ 1 697**
მონაწილეობა დუშანბეში, ინტერკულტურის საკითხებისადმი მიძღვნილ სემინარზე .		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 23 808

მთარგმნელობითი პროგრამა

მთარგმნელობითი პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიული და ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებას სოციალური და კულტურული მნიშვნელობის სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის გზით, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საკითხზე ორიენტირებული და ინტერდისციპლინარული გამოცემები და დაეხმაროს საზოგადოებას დემოკრატიული განვითარების გზაზე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში.

სოციალური მნიშვნელობის ლიტერატურისადმი ხელმისაწვდომობა ჩაუყრის საფუძველს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:
· ახალი თაობების სპეციალისტებად აღზრდა და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ხელშეწყობა;
· სფეროში დაკავებული პროფესიონალების ცოდნის ამაღლება;
· საქართველოში სოციალური მნიშვნელობის მსოფლიო სტანდარტების დანერგვა;
· ქვეყანაში სპეციფიკური ტიპის გამოცემებისათვის საფუძვლის ჩაყრა და ხელშეწყობა;

· საკითხზე ორიენტირებული ცოდნის დაგროვების ხელშეწყობა და განათლებასა და კვლევაში ინტერდისციპლინარული მიდგომის მხარდაჭერა.

პრიორიტეტები
პროგრამა საკითხზე ორიენტირებული გამოცემებისათვის 2004-2006 წლებში პრიორიტეტებად განსაზღვრავს შემდეგ თემებს:
· პოლიტიკური კულტურა (რაც მოიცავს დემოკრატიზაციას, კორუფციას და სხვა)
· პოლიტიკის ანალიზი
· ეკონომიკა
· კულტუროლოგია
· ასევე სოციალური რეალობის შემსწავლელი ინტერდისციპლინარული კვლევები

მთარგმნელობითმა პროგრამამ მუშაობა დაიწყო 2004 წლის სექტემბრის ბოლოს. წლის ბოლოს გამოცხადდა კონკურსი - "სოციალური და კულტურული ღირებულების სამეცნიერო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა". კონკურსი გაგრძელდა 2005 წელს და შესაბამისად თანხის ხარჯვა მოხდება 2005 წლის განმავლობაში.

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 22 000

აღმოსავლეთ-აღმოსავლეთ პროგრამა

პროგრამა კერძო პირებსა და ორგანიზაციების ეხმარება მონაწილეობა მიიღონ,აღმოსავლეთ-აღმოსავლეთ ქსელის მიერ ორგანიზებულ, საერთაშორისო ღონისძიებებში, თრეინინგებსა და სემინარებში, რომელთა მიზანი სოციალური განვითარების გამოცდილების გლობალური გაზიარებაა. ამავე დროს, პროგრამა მხარს უჭერს საინტერესო სემინარების, კონფერენციების ორგანიზებას საქართველოში.

პროგრამა ეძებს მყარი ურთიერთთანამშრომლობის გზებს სოციალური სიახლეების დასანერგად, ახვედრებს ერთმანეთს ადამიანებს სხვადასხვა სოციალური სფეროდან ინოვაციური და მოქნილი გადაწყვეტილებების გასაზიარებლად; პროგრამა პასუხობს საზოგადოების იმ ფენების საჭიროებს, რომელთაც ყველაზე ღფრო მჭიდრო შეხება აქვთ ადგილობრივ პრობლემებთან.

პროგრამა “აღმოსავლეთი - აღმოსავლეთის” პრიორიტეტებია:
· სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება;
· სამართალი და ადგილობრივი თვითმმართველობა;
· ეკონომიკურ ტრანზიციის პერიოდში ეკონომიკური ინოვაციები;
· საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და სიახლეები სოციალურ ჯანდაცვაში;
· გარემოს დაცვა და პროპაგანდა.

დეპორტირებულ მესხთა საერთაშორისო ახლგაზრდული კავშირი	ინტერეთნიკური დიალოგი მშვიდობიანი რეპატრიაციისა და ინტეგრაციისათვის	**$ 5 825**
დეპორტირებული მესხების საქართველოში მშვიდობიანი რეპატრიაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა, დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ქართველი ხალხის მომზადება დეპორტირებულთა რეპატრიაციის პროცესისათვის, საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერა რეპატრიაციისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის მომზადებაის საქმეში.		
განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი	ცოდნის შეძენა გამოცდილების გაზიარებით: სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და განათლების პოლიტიკის ცენტრების როლი გარდამავალ ქვეყნებში	**$ 10 590**
ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში განათლების სისტემაში საგრძნობი ცვლილებების მისაღწევად გამოცდილებისა და ექსპერტიზის გაცვლა		

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და განათლების პოლიტიკის ცენტრების კოორდინირებული ძალისხმევით საგანამანათლებლო დაგეგმვისა და ანალიზის გაუმჯობესება, ასევე ინფორმაციის გაცვლა განათლების პოლიტიკის ცენტრებს შორის.		
ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრი	ადამიანის უფლებათა განათლება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სკოლებსა და უნივერსიტეტებში	**$ 5 516**
ადამიანის უთლებების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა გამოცდილების გაზიარების და ინფორმაციის გაცვლის საშუალებით.		
ცვლილებებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრი "პარტნიორები - საქართველო"	საჯარო საბჭოებში არასამთავრობო, სამთავრობო და კერძო სექტორების ეფექტიანი თანამშრომლობა	**$ 2 012**
საზოგადოებრივ საბჭოების შესახებ ინფორმაციის გაზიარება არასამთავრობო, სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის; არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებისათვის შესაძლებლობების მიცემა სახელმწიფოსა და კერძო სექტორთან ერთად სოციალური და ეკონომიკური პრობლემები გადასალახად.		
საქართველოს გაეროს ასოციაცია (საგა)	ტრანსკავკასია - პოლონეთი: ვიმუშაოთ ერთად	**$ 11 023**
კავკასიასა და ცენტრალურ ევროპაში ახალგაზრდების მდგრადი თანამშრომლობის მხარდაჭერა; პოლონეთთან ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილების ანალიზი; გამოცდილების გაზიარება სამოქალაქო ინსტიტუტების შექმნის საქმეში და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა და ჩართვა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საქმეში.		
შორენა თურქიაშვილი	სოციოლოგიის როლი დემოკრატიის განვითარებაში	**$ 390**
ანალიზი იმ სოციოლოგიური კვლევებისა, რომლებიც აწარმოებს სამთავრობო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელები დემოკრატიული განვითარების პროცესთან დაკავშირებით; რეკომენდაციების შემუშავება იმ დაბრკოლებათა გადასალახად რაც აფერხებს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში დემოკრატიულ განვითარებას.		
ივანე გოგელია, გურანდა რომანაძე, ლევან სალამაძე, ეკატერინე ფოფხაძე, ია ფაჩულია, ანანო ასათიანი, ზვიად დევდარიანი, ნინო ხაჭაპურიძე, ანა ქობალია, ლევან ხარატიშვილი	ტრანსკავკასია - პოლონეთი: ვიმუშაოთ ერთად	**$ 10 130**
სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ ევროპაში ახალგაზრდებს შორის მდგრადი თანამშრომლობის წახალისება; პოლონეთთან ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილების ანალიზი; გამოცდილების გაზიარება სამოქალაქო ინსტიტუტების შექმნის საქმეში და ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საქმეში.		
თამთა კომახიძე	ახლაა დრო: ევროპული ახალგაზრდული ქსელი სექსუალურ და რეპროდუქტიულ უფლებებზე	**$ 1 716**
ახალგაზრდების უფლებამოსილება თანაბარი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, განხორციელებისა და შეფასების საქმეში; სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, რომლებიც მუშაობენ რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და შიდსით ინფიცირებულთა ერვონულ სტრატეგიებზე; ერთობლივი პროექტების განხორციელება იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდებისათვის სექსუალური და რეპროდუქციული განათლების საკითხებზე.		
ნათია ცინცაძე, გიზხანუმ ახმედოვა	გამჭვირვალე არჩევნები და წარმატებული სტრატეგია სამოქალაქო ჩართულობისათვის	**$ 292**
მუნიციპალურ არჩევნებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის წახალისება; არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შესაძლებლობების მიცემა გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება.		
ქეთევან ქამაშიძე, ლევონ ისახანიანი	ახალი ტაქტიკა ადამიანის უფლებათა დაცვაში	**$ 2 471**
ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მონაწილეთა		

მხარდაჭერა საერთაშორისო სიმპოზიუმში - "ახალი ტაქტიკა ადამიანის უფლებათა დაცვაში" მონაწილეობის მისაღებად.		
ზოია ხასია, გივი მიქანაძე, დავით გელაშვილი, ავთანდილ მიქანაძე	პენიტენციალურ სისტემაში ადამიანთა უფლებების მონიტორინგი	**$ 2 875**
2003 წელს ერევანში განხორციელებული პროგრამის ფარგლებში წამოწყებული ინიციატივის გაგრძელება, კერძოდ, პენიტენციალურ სისტემაში ადამიანთა უფლებების დაცვის მონიტორინგი; მონიტორინგისათვის ერთობლივი მეთოდოლოგიების შემუშავება; ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში პენიტენციალურ სისტემაში ადამიანთა უფლებების დაცვის მონიტორინგის შედარებითი შედარებითი ანალიზი.		
ირმა ალადაშვილი, ლევან თაქთაქიშვილი, ნანა კუპრაშვილი, ვალენტინ გოგავა, გიული მოსიძე, მაია კიკაძე, გიორგი შავგულიძე, მზია რაზმაძე, ეკატერინე ბასილაია, თეიმურაზ გიგინეიშვილი	საბიბლიოთეკო კონსორციუმების პარტნიორობა	**$ 10 800**
ლიტვის საბიბლიოთეკო კონსორციუმის საქმიანობის გაცნობა აზერბაიჯანისა და საქართველოს საბიბლიოთეკო კონსორციუმებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით; აქციონერთა ძალისხმევის ხეშეწყობა ადგილობრივი საზოგადოების სამოქალაქო საქმიანობაში ჩართვის საქმეში.		
პაატა შეშელიძე	აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში სამუშაო ჯგუფების გაძლიერება: გამოცდილების ურთიერთგაზიარება	**$ 1 130**
ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის გამოცდილების გაზიარება; მკვლევართა პროფესიული დონის ამაღლება; ანალიზის თანამედროვე მეთოდების, პროექტის მართვისა და ფონდების მოზიდვის შესაძლებლობების გაცნობა; კოალიციების შექმნის შესაძლებლობების მოსინჯვა და ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობის მიღება.		
გიორგი გამყრელიძე, გიორგი კანდელაკი	რეგიონალური უსაფრთხოება და ახალგაზრდობის როლი მშვიდობის დამყარების საქმეში	**$ 680**
სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტების ახალგაზრდული ინიციატივების რეგიონალური მიზნების დაახლოება ახალგაზრდა მკვლევარების ქსელში გაერთიანების საშუალებით.		
აკაკი დვალი, ვლადიმერ ჩიტაძე	შავი - კასპიის ზღვების დემოკრატიული კონტროლის კონსორციუმი	**$ 974**
ქვეყნების რეგიონალური თანამშრომლობის სტიმულირება სამოქალაქო კონტროლისა და რეგიონალური უსაფრთხოების საქმეში; შავი და კასპიის ზღვის ქვეყნების ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა; შავი და კასპიის ზღვების რეგიონის ანალიტიკური ცენტრების დემოკრატიული კონტროლის ქსელის შექმნის წახალისება.		
თამარ კვინიკაძე, ალექსანდრე სილაგაძე, გოჩა მიქელაძე, ტატიანა მაქსიმენკო, დავით ღვინერია	გლობალიზაციის პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობის რეალური პერსპექტივები	**$ 2 592**
ბალტიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ახალგაზრდა აქტივისტთა გაცვლის ხელშეწყობა; ახალგაზრდების "გონებრივი შტურმი" იმის დასადგენად, თუ როგორ შეიძლება იქნას გამოყენებული გლობალიზაციის პროცესი ახალგაზრდული იდეების ხორცშესასხმელად; გლობალიზაციის კონტექსტში საერთაშორისო გაცვლების დადებითი გავლენის ახალი შესაძლებლობების კვლევა.		
მარიამ სერებრიაკოვა	პეკინი + 10: არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამოქმედო გეგმის შეფასება	**$ 665**

სამოქალაქო ვალდებულებების მხარდაჭერა პეკინის პლატფორმის განხორციელების ხანგრძლივ პროცესში, რაც იძლევა ქალთა თანასწორუფლებიანობის გარანტიას ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში; გენდერული მიმართულების გაძლიერება ევროინტეგრაციის კონტექსტში; მოხსენების მომზადება გენდერული მიმართულებების საუკეთესო კვლევებზე.		
კახა შენგელია, ვახტანგ მშვიდობაძე, არჩილ ყარაულაშვილი, თამარ ვარდიაშვილი, ანა ასათიანი, ნინო დოლიძე, ზექა მჭედლიძე, ირაკლი უჯმაჯურიძე, ირაკლი თაბორიძე, ივანე იმნაძე	თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საქმეში	**$ 9 025**
გარდამავალი პროცესების დაგეგმვისა და მართვის საქმეში ტრანს-ნაციონალური თანამშრომლობის მხარდაჭერა, კერძოდ, სახელმწიფო მოხელეებისთვის უკრაინაში, სომხეთსა და საქართველოში ლიტვის საზოგადოებრივ მართვის გამოცდილების ანალიზის და საერთო პრობლემების განხილვის შესაძლებლობების მიცემა.		
ლევონ ისახანიანი, სერგი კაპანაძე	ადამიანის უსაფრთხოების თემების და მშვიდობის კულტურის შენების კვლევა	**$ 1 219**
მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით ღია და კრიტიკული დიალოგის ხელშეწყობა, კონფლიქტებით გამოწვეული სტერეოტიპების და პრობლემების დანგრევა იმ სამშვიდობო მასწავლებლების და ადვოკატების გამოცდილების საშუალებით, რომლებიც მუშაობენ ადამიანთა უფლებების დაცვისა და დემილიტარიზაციის მისაღწევად.		
ვერონიკა ჭკადუა	სასაზღვრო თანამშრომლობა სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ძალადობრივი კონფლიქტების პტრევენციის საქმეში	**$ 820**
ხანგრძლივი ინიციატივების (შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციაში სამოქალაქო საზოგადოების როლი) მხარდაჭერა; სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტთა მობილიზაცია კონფლიქტების მოგვარების საქმეში ეფექტური სამოქმედო გეგმების საერთო პლატფორმის შექმნის საქმეში; რეგიონალური განრიგების შექმნა კონფლიქტების მოგსაგვარებლად; საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გაერო-ს, რეგიონალურ ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის ურთიერთგავლენის გაზრდა.		
დავით ხაჩიძე, მამუკა ნიკოლაძე, არკადი მანეევი	კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა	**$ 1 557**
მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის განხორციელების ანალიზი, როგორც ბაზისა, რომლის საფუძველზეც მოხდება ერთობლივი საქმიანობებისა და ტრანს-ნაციონაულრი სტრატეგიების დეტალური დამუშავება.		
ლევან ხეთაგური	2004 წლის ევროპის არჩევნების პირისპირ	**$ 1 270**
ევროინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოებრივი დიალოგის ხელშეწყობა; ევროკავშირის მოქალაქეების მუდმივი ინფორმირება ევროპის მომავალი არჩევნებისა და ევროკავშირის მმართველობის შესაბამისობისა და საფუძვლების შესახებ.		
ირაკლი გუნია, ზურაბ ჯავახიშვილი, ალექსანდრე საანიშვილი	რეგიონალური თანამშრომლობა ბუნებრივი კატასტროფებისა და სეისმური რისკის შეფასებაში	**$ 4 600**
მეზობელ ქვეყნებში სამი არასამთავრობო ორგანიზაციის გრძელვადიანი ინიციატივის დასრულება ბუნებრივი კატასტროფებისა და სეისმური რისკის შეფასებაში.		
ავთანდილ მიქანაძე, დავით გელაშვილი, გივი მიქანაძე	პენიტენციალურ სისტემაში ადამიანთა უფლებების მონიტორინგი	**$ 1 575**
პენიტენციალური სისტემის მონიტორინგის უნივერსალური მეთოდოლოგიისა და სახელმძღვანელოს შექმნა; მონიტორინგის განხორციელების ძირითადი პრინციპების დადგენა და მონიტორინგის ეთიკური კოდექსის განხორციელება.		

რუსუდან ფანცულაია	გაფანტული სკლეროზის მქონე მოქალაქეების უფლებები	**$ 676**
გაფანტული სკლეროზის საზოგადოებებისა და გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტების დამხმარე ჯგუფების ეფექტურობისა და განვითარების უზრუნველყოფა.		
მიხეილ მირზიაშვილი	მსოფლიო ტური: ვიდეოს ტექნოლოგიების გამოყენება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების პოპულარიზაციის მიზნით	**$ 780**
სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ქსელისა და ინიციატივების გაფართოების მხარდაჭერა; ადამიანთა უფლებების დაცვაში ინოვაციური სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.		
ვერა წერეთელი, ირინა იანოვსკაია, ირაკლი ბარამიძე, ირაკლი თოფურიძე, ნინო ქალდანი, დიანა პეტრიაშვილი, ხათუნა ქათამაძე, ლევონ ისახანიანი, დავით საყვარელიძე, ქეთევან ხაფავა, ეკა გამახარია, გვანცა კვინიკაძე, ნინო დოლიძე, გიორგი ხელაშვილი, დიანა პეტრიაშვილი	ახალგაზრდები და საზოგადოების სოციალური გაახალგაზრდავება	**$ 7 612**
ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტთა განმასხვავებელი ნიშნების ანალიზი; ტერმინების ზუსტი მნიშვნელობების დადგენა; ფსიქოლოგიური ტრენინგების დროს პოლიტიკური კონფლიქტების გადაჭრის გზების ძიება.		
ალა ამირანაშვილი	ეთიკის კომიტეტები: საზოგადოებრივი კონტროლი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	**$ 377**
სამთავრობო სტრუქტურების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი ინსტიტუტების ინფორმირებულობისა და საზოაგდოებრივი ჩართულობის წახალისება; ცენტრალურ ევროპაში ეთიკის კომიტეტებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის გაძლიერება.		
ნინო კიკნაძე, რუსუდან თავხელიძე	საერთაშორისო სამოქალაქო განათლების კონფერენცია ბალტიის ქვეყნებში	**$ 1 800**
სამოქალაქო განათლების როლის გასაზრდელად ახალი სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა; არასამთავრობო სექტორსა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.		
მარკ მალენი	რეგიონალური დიალოგი პარტნიორობისათვის: წამყვანი ანტიკორუფციული არასამთავრობო ორგანიზაიების წარმომადგენლები	**$ 574**
არასამთავრობო ორგანიზაციების ანტიკორუფციული ინიციატივების დროს მიღებული გაკვეთილების სისტემატიზაციის მხარდაჭერა; ინტეგრაციასა და გამჭვირვალობაზე მიმართული საზოგადოებრივი დისკუსიების წახალისება.		
ნანა საგინაშვილი, გიორგი ბახტურიძე	რურალური თემი და ინტერნეტი	**$ 2 830**
სასოფლო განვითარების პრაქტიკოსებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის საშუალებით; სასოფლო განვითარების სააგენტოების მიერ საკუთარი მიზნობრივი ჯგუფებისათვის მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება; თანამშრომლობის ხელშეწყობა სასოფლო განვითარების მოდელებისა და პოლიტიკისა განვითარების საქმეში.		

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 104396

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 114068